



შპს „ჯეუ გრუპი“

ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიში

(ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. №1, ს/კ 01.19.18.007.016)

შემსრულებელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს “ფამილი-ლე კონსალტინგი”

დირექტორი

მაკა მდინარაძე

თბილისი 2023 წ.



გზმ-ს ანგარიშის მომზადებაში ჩართულ ექსპერტთა სია

ექსპერტის სახელი და გვარი	საქმიანობა	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
ბექა ჩიხლაძე	ეკოლოგი	555 45 68 03	
თამთა საგანელიძე	სოციოლოგი	557 44 07 39	
ზვიად ჩხაიძე	გეოლოგი	568 25 52 00	

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის მომზადებულია

ექსპერტის სახელი და გვარი	საქმიანობა	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
დავით მაყაშვილი	გარემოს დაცვის კონსულტანტი	599 70 80 55	



სარჩევი

1. შესავალი.....	6
1.1. ზოგადი მიმოხილვა.....	6
1.2. გზშ-ს ანგარიშის მოზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	7
1.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სტრუქტურა.....	8
2. საკანონმდებლო ასპექტები.....	9
2.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	10
2.2. საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები.....	11
2.3. საერთაშორისო ხელშეკრულებები.....	13
3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....	14
3.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა.....	14
3.2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....	19
3.2.1. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება.....	19
3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება.....	24
3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია.....	30
3.2.4. ხანძარქრობა.....	38
3.2.5. მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი.....	38
3.2.6. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა.....	38
3.2.6.1. წყალმომარაგება.....	38
3.2.6.2. სანიღვრე წყლების არინება.....	39
3.2.7. ნარჩენების მართვა.....	41
3.2.8. დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები.....	43
3.3. ალტერნატივების ანალიზი.....	43
3.3.1. არაქმედების ალტერნატივა.....	44
3.3.2. საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები.....	45
3.3.3. ტექნოლოგიური ალტერნატივები.....	46
3.3.4. მწარმოებლობის, დატვირთვის შემცირება/გადიდების ალტერნატივები.....	48
4. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი.....	49
4.1. ზოგადი მიმოხილვა.....	49
4.1.1. საველე კვლევები საწარმოს განთავსებისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე.....	50
4.2. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო.....	51
4.2.1. კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები.....	51
4.2.2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი.....	54
4.2.2.1. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით ფონური დაბინძურების მდგომარეობა.....	54
4.2.2.2. ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობა.....	56
4.2.2.3. ბუნებრივი რადიაციული ფონი.....	58
4.2.3. გეოლოგიური პირობები.....	59
4.2.3.1. გეომორფოლოგია და გეოლოგია.....	59
4.2.3.2. ჰიდროგეოლოგიური პირობები.....	62
4.2.3.3. საშიში გეოლოგიური მოვლენები.....	62
4.2.3.4. სეისმური პირობები.....	65
4.2.3.5. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.....	66
4.2.4. ჰიდროლოგია.....	67
4.2.5. ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები.....	67



4.2.6. ბიომრავალფეროვნება 71

4.2.6.1. ფლორა 71

4.2.6.2. ფაუნა 71

4.2.7. დაცული ტერიტორიები 72

5. გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების მოსალოდნელი ცვლილებები 72

5.1. გზშ-ს მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები 72

5.1.1. ზემოქმედების რეცეპტორები და მათი მგრძობიარობა 74

5.1.2. ზემოქმედების შეფასება 74

5.2. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე 75

5.2.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 75

5.2.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან ემისიების გაანგარიშება 78

5.2.3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში) 88

5.2.4. ატმოსფერულჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი 93

5.2.5. შემარბილებელი ღონისძიებები 94

5.2.6. ზემოქმედების შეფასება 95

5.3. ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება 96

5.3.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 96

5.3.2. ზემოქმედების დახასიათება 96

5.4. გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, ზემოქმედება ნიადაგზე 101

5.4.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 101

5.4.2. ზემოქმედების დახასიათება 102

5.4.3. შემარბილებელი ღონისძიებები 103

5.4.4. ზემოქმედების შეფასება 104

5.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე 105

5.5.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 105

5.5.2. ზემოქმედების დახასიათება 106

5.5.3. შემარბილებელი ღონისძიებები 106

5.5.4. ზემოქმედების შეფასება 107

5.6. ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე 108

5.6.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 108

5.6.2. ზემოქმედების დახასიათება 108

5.6.3. შემარბილებელი ღონისძიებები 109

5.6.4. ზემოქმედების შეფასება 110

5.7. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება 111

5.7.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 111

5.7.2. ზემოქმედების შეფასება 112

5.7.3. შემარბილებელი ღონისძიებები 112

5.7.4. ზემოქმედების შეფასება 113

5.8. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე 114

5.8.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 114

5.8.2. ზემოქმედების დახასიათება 117

5.8.3. შემარბილებელი ღონისძიებები 117

5.8.4. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება 118

5.9. ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება 119

5.10. ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე 119

5.10.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია 119

5.10.2. ზემოქმედების დახასიათება 119



5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე..... 120

5.11.1. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია..... 120

5.11.2. ზემოქმედების დახასიათება..... 122

5.11.2.1. შესაძლო დემოგრაფიული ცვლილებები..... 122

5.11.2.2. ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე..... 122

5.11.2.3 დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები..... 123

5.11.2.4. წვლილი ეკონომიკაში..... 123

5.11.2.5. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე..... 124

5.11.2.7. გარემოზე შუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება..... 124

5.11.2.7. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები..... 124

5.11.3. ზემოქმედების შეფასება..... 126

5.12. ნარჩენი ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების..... 128

5.13. კუმულაციური ზემოქმედება..... 128

6. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები..... 129

6.1. ზოგადი მიმოხილვა..... 129

6.2. ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები..... 130

6.2.1. შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ეტაპი..... 131

7. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა..... 140

7. 1. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი..... 141

8. შესაძლო ავარიული სიტუაციები..... 144

9. საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის პრობლემა..... 145

9.1 საწარმოს მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი..... 145

9.2. საწარმოს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია..... 145

9.3. საწარმოს ლიკვიდაცია..... 145

10. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმული შენიშვნები..... 146

11. დასკვნები და რეკომენდაციები..... 146

12. გამოყენებული ლიტერატურა..... 148

13. დანაეთები..... 152

დანართი 13.1. ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან..... 152

დანართი 13.2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან..... 155

დანართი 13.3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნების ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი..... 156

დანართი 13.4. ნარჩენების მართვის გეგმა..... 181

დანართი 13.5. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა..... 190

დანართი 13.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი საწარმოს განთავსების უფლებრივი ზონის შესახებ..... 210

დანართი 13.7. შპს „ტავ ურბან საქართველოს“ წერილი..... 212

დანართი 13.8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის შეთანხმების შესახებ..... 213

დანართი 13.9. საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით ქალაქის სანიაღვრე ქსელის ოპერატორთან შეთანხმების წერილი..... 214

დანართი 13.10. ხმაურის გაზომვის შედეგები..... 215

დანართი 13.11. ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ..... 230



1. შესავალი

1.1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ჯეუ გრუპი“-ს ასფალტის საწარმოს (შემდგომში - საწარმო) ექსპლუატაციას პროექტის გზშ-ს ანგარიშს.

შპს „ჯეუ გრუპი“-ს (ს/ნ 205251537) გეგმავს ქ. თბილისში, თვალჭრელიძის 4 შეს. №1-ში, მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული, 6323,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: 01.19.18.007.016) ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციას.

შპს „ჯეუ გრუპი“-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.3 პუნქტით (ასფალტის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას, ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს №2-784 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

დაგეგმილ საქმიანობაზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა N28, რომლის საფუძველზე შპს „ჯეუ გრუპი“-ს მიერ, ასფალტის საწარმოს საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტის მომზადების მიზნით მოწვეულ იქნა საკონსულტაციო ორგანიზაცია - შპს “ფამილი-ლე კონსალტინგი”.

შპს “ფამილი-ლე კონსალტინგი“-ს მიერ განხილული იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობები; შესწავლილ იქნა საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს არსებული ფონური მდგომარეობა; მოხდა გარემოზე შესაძლო ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება, ასევე მათი ზემოქმედების მასშტაბებისა და გავრცელების არეალის განსაზღვრა. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, მომზადდა მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინამდებარე ანგარიში.

გზშ-ის პროცესში შესწავლილია: გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები და სახეები, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები და განსაზღვრულია ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები; ასევე განსაზღვრულია შესაძლო ავარიული სიტუაციები და მათზე გეგმის პრინციპები; მომზადებულია შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.1.



ცხრილი 1.1.1. საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს „ჯეუ გრუპი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისი მოედანი, შენობა №1, VI სართული
კომპანიის ფაქტიური მისამართი	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისი მოედანი, შენობა №1, VI სართული
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. №1, ს/კ 01.19.18.007.016
საქმიანობის სახე	ასფალტის წარმოება
შპს „ჯეუ გრუპი“-ს საკონტაქტო პირის მონაცემები:	
გარემოსდაცვითი მმართველი	გიორგი ხუნწარია
ელექტრონული ფოსტა	gkhuntsaria@jeugroup.ge
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 591- 96-20-25
საკონსულტაციო კომპანია	შპს “ფამილი-ლე კონსალტინგი”
საიდენტიფიკაციო კოდი	437374495
დირექტორი	მაკა მდინარაძე
საკონტაქტო ინფორმაცია	591 06 05 83
ელექტრონული ფოსტა	familyleconsulting@gmail.com

1.2. გზშ-ს ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე გზშ-ს ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე.

შპს „ჯეუ გრუპი“-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.3 პუნქტით (ასფალტის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას, ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს №2-784 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკრინინგის გადაწყვეტილების შემდეგ მომზადდა სკოპინგის ანგარიში რაზეც გაცემულია სკოპინგის დასკვნა N28.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.3 პუნქტით გათვალისწინებულია, მხოლოდ ასფალტის წარმოება და საუბარი არ არის



ასფალტის საწარმოს მოწყობა/მშენებლობის პროცესზე, შესაბამისად „კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურა ეხება არა ასფალტის საწარმოს მშენებლობას, არამედ მხოლოდ ექსპლუატაციას. შპს „ჯეუ გრუპი“-ს მიერ უკვე მოწყობილია ასფალტის საწარმო და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყებს ექსპლუატაციას - ასფალტის წარმოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური პროცესის შემოწმების მიზნით მოხდა ასფალტის საწარმოს გაშვება რამდენჯერმე სატესტო რეჟიმში, რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოხდა შპს „ჯეუ გრუპის“ 2-ჯერ დაჯარიმდა:

1. ჯარიმა შედგა - 2022 წლის 31 მარტი ოქმი N 069857, მუხლი 79 პრიმა 7 პირველი ნაწილი;
2. ჯარიმა შედგა - 2022 წლის 15 ნოემბერს ოქმი N 072908, მუხლი 84, 3 პრიმა ნაწილი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა (რაზეც უკვე გაცემულია სკოპინგის დასკვნა N28), შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების საფუძველზე მოამზადოს გზშ-ის ანგარიში.

1.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სტრუქტურა

ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების განხილვა:

- სამართლებრივი ასპექტები:
 - საქართველოს პოლიტიკა და კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში;
 - გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები.
- საინჟინრო-ტექნიკური ასპექტები, ეკოლოგიური შეფასება:
 - ასფალტის საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები;
 - მუშაობის რეჟიმი;
 - წყალმომარაგება და კანალიზაცია;
 - ნარჩენების მართვა;
 - შრომის უსაფრთხოების დაცვა, უსაფრთხოების ტექნიკა და სხვ.
- გარემოს ფონური მონაცემები და გარემოსდაცვითი ღონისძიებები:
 - ასფალტის საწარმოს განთავსების ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება;
 - კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხი;
 - გეოლოგიური პირობები;
 - სეისმური პირობები;
 - ნიადაგების მდგომარეობა;



- ჰიდროგეოლოგია და ჰიდროლოგია;
- ბიოლოგიური გარემო;
- ცვლილებების მიმართ მგძნობიარე უბნები;
- სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ზოგადი დახასიათება.
- ზემოქმედების რეცეპტორები:
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხი (ექსპლუატაციის პირობებში მოსალოდნელი გაფრქვევები, ხმაურის წყაროები, დონეები და გავრცელება);
 - წყლის გარემო (ჩამდინარე წყლების არინება და გაწმენდა);
 - მიწისა და სხვა რესურსების გამოყენება;
 - საწარმოო ნარჩენები, როგორც გარემოს დაბინძურების ფაქტორი;
 - სოციალურ-ეკონომიკური გარემო (ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ინდუსტრიულ და დასახლებულ ზონებზე, სატრანსპორტო ნაკადებსა და შრომის უსაფრთხოებაზე).
- ზემოქმედების შეფასება ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით (საწარმოს ფუნქციონირების პირდაპირი და არაპირდაპირი, მეორადი, კუმულაციური, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი, მუდმივი და დროებითი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებანი);
- გარემოზე ზეგავლენის შემცირების ღონისძიებები;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მენეჯმენტის გეგმის პრინციპები;
- მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები.

2. საკანონმდებლო ასპექტები

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს (მუხლი 29) ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებას „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.“

კონსტიტუციით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს მეწარმე/საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია: მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად; დაიცვას ბიომრავალფეროვნება შეუქცევადი დეგრადაციისგან და აღადგინოს საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის კანონებს, საერთაშორისო კონვენციებს და შეთანხმებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, უწყებრივ ინსტრუქციებს და



ბრძანებებს, მთოდურ რეგულაციებს და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტის დასამუშავებლად გამოყენებული კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებების, სტანდარტების, მეთოდური მითითებების და სხვა წყაროების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ.

2.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

ასფალტის საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა იხილეთ ცხრილში 2.1.1.

ცხრილი 2.1.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1994	საქართველოს კანონი "ნიადაგის დაცვის შესახებ"	370.010.000.05.001.000.080	14/06/2011
1994	საქართველოს კანონი "საავტომობილო გზების შესახებ"	310.090.000.05.001.000.089	24/12/2013
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010.010.000.01.001.000.116	04/10/2013
1996	საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ"	360.000.000.05.001.000.184	06/09/2013
1996	საქართველოს კანონი "წილის შესახებ"	380.000.000.05.001.000.140	21/03/2014
1997	საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ"	410.000.000.05.001.000.186	06/09/2013
1997	საქართველოს კანონი "წყლის შესახებ"	400.000.000.05.001.000.253	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ"	420.000.000.05.001.000.595	05/02/2014
1999	საქართველოს "ტყის კოდექსი"	390.000.000.05.001.000.599	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი "საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ"	040.160.050.05.001.000.671	06/06/2003
2003	საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხის" და "წითელი წიგნის" შესახებ	360.060.000.05.001.001.297	06/09/2013
2003	საქართველოს კანონი "ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ"	370.010.000.05.001.001.274	19/04/2013
2005	საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"	300.310.000.05.001.001.914	20/02/2014
2006	საქართველოს კანონი "ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ"	330.130.000.11.116.005.130	27/12/2006
2007	საქართველოს კანონი "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ"	360.130.000.05.001.003.079	25/03/2013
2007	საქართველოს კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ"	360.160.000.05.001.003.078	01/07/2016
2007	საქართველოს კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"	470.000.000.05.001.002.920	13/12/2013
2007	საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ"	450.030.000.05.001.002.815	25/09/2013



2014	საქართველოს კანონი "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ"	140070000.05.001.017468	01/07/2014
2014	საქართველოს კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსი"	360.160.000.05.001.017.608	26/12/2014
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018492	05/07/2018

2.2. საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა წარმოდგენილია ცხრილში 2.2.1.

ცხრილი 2.2.1. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.017588



31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გამოთვლისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეების მიხედვით განსაკუთრებით დაბინძურებული, მაღალი დაბინძურების, დაბინძურებული და დაბინძურების არმქონე კატეგორიის რეგიონებისათვის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსების სიდიდეების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №448 დადგენილებით.	300160070.10.003.017617
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით.	300160070.10.003.017688
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №445 დადგენილებით.	300160070.10.003.017646
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585



31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით	300160070.10.003.017640
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების მეთოდიკა“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით	300160070.10.003.017615
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი „სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №64 დადგენილებით	300160070.10.003.017682
11/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №421 დადგენილებით	300160070.10.003.018807
11/08/2015	საქართველოს მთავრობის №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“	360100000.10.003.018808
17/08/2015	საქართველოს მთავრობის №426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“	300230000.10.003.018812
04/08/2015	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“	360160000.22.023.016334
15/04/2013	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №31 ბრძანება „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.	360160000.22.023.016156

2.3. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- **ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:**
 - კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რომ დე ჟანვირო, 1992 წ;
 - კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ;
 - კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
 - ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
- **კლიმატის ცვლილება:**
 - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
 - მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
 - ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;



- კოტოს ოქმი, კოტო, 1997 წ;
- გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.
- **დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები:**
 - ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- **კულტურული მემკვიდრეობა:**
 - კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
 - კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.
- **საჯარო ინფორმაცია:**
 - კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია, 1998 წ.)

3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

3.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა

კომპანია „ჯეუ გრუპი“-ს (ს/ნ 205251537) მოწყობილი აქვს ასფალტის საწარმო და დაგეგმილი აქვს ექსპლუატაცია-ასფალტის წარმოება ქ. თბილისში, თვალჭრელიძის 4 შეს. №1-ში, მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული, 6323,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: 01.19.18.007.016). აღნიშნულ ტერიტორიაზე წარსულში არსებობდა მსგავსი წარმოება. აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდაველი ზედაპირებიტ შემოფარგლული აეროდრომის რაიონში. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ტავ ურბან საქარტველოს“ რეკომენდაციით (იხ. დანართი 11.6.) მოხდება ობიექტის ნიშანდება მოელვარე, საშუალო ინტენსივობის A ტიპის შუქ შემოღობვით.


ასფალტის ქარხნის განლაგების რეგიონის სიტუაციური სქემა წარმოდგენილია ნახაზზე 3.1.1, ხოლო საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის აეროთანამგაზვრული მონაცემები სურათზე 3.1.1.

საწარმოო ტერიტორიის GPS კოორდინატებია (ნაკვეთის კუთხის წვეროების შესაბამისად):

წერტილი #	X	Y
1	491579	4616266
2	491589	4616252
3	491660	4616235
4	491777	4616305
5	491594	4616325




ნახაზი 3.1.1. ასფალტის ქარხნის განლაგების რეგიონის სიტუაციური რუკა - მასშტაბი 1:50 000



წყარო: <http://mygeorgia.ge>



სურათი 3.1.1. საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის ორთოფოტო



წყარო: [Google Earth](https://www.google.com/earth/)



როგორც უკვე აღინიშნა, ასფალტის საწარმო განთავსებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციის მქონე მიწის ნაკვეთზე (ყოფილი ავტოფარეხის ტერიტორია).

საკვლევ ტერიტორიაზე საბაზისო საველე კვლევის ფარგლებში გამოვლენილი არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატი ან სახეობა. უშუალოდ საკვლევ ტერიტორიაზე ხემცენარეული საფარი პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არის. საველე კვლევამ გამოავლინა, რომ ობიექტის მთელი ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოდგენილია არასასოფლო-სამეურნეო მიწებით. საწარმოსათვის შერჩეული ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი. საკვლევ ტერიტორიის ხედები იხ. სურათი 3.1.1.

სურათი 3.1.2. საკვლევ ტერიტორიის ხედები:




საწარმო მდებარეობს სამრეწველო ზონაში. ნაკვეთის აღმოსავლეთის მხრიდან მთელს სიგრძეზე ესაზღვრება თვალჭრელიძის ქუჩა, სამშენებლო მასალების სარეალიზაციო საწარმოები და სასაფლაო. საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს მოსახლემდე (01.19.18.007.012 - საკადასტრო ნეკვეთის ტერიტორიაზე მდებარე სახლი) მანძილი შეადგენს 210 მეტრს.



ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს ასფალტის მწარმოებელი საწარმო შპს „საბა 777“ (01.19.19.001.055), მანძილი საკადასტრო საზღვრებს შორის შეადგენს 230 მეტრს. ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 50 მეტრის დაშორებით ფუნქციონირებს სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმო შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“ (01.19.19.002.100), სამხრეთით, ორ საკადასტრო ნაკვეთებზე (01.19.18.007.027; 01.19.18.007.011) მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ - ბეტონის მწარმოებელი საწარმოები, რომლებიც საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია შესაბამისად 90 მეტრით და 120 მეტრით. ტერიტორიის აღმოსავლეთით 89 მეტრ მანძილში ფუნქციონირებს შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფი“ (ს/კ 01.19.18.007.018) - ბეტონის მწარმოებელი საწარმო, ხოლო დასავლეთით, 120 მეტრის დაშორებით - შპს „EKOMIX“ (01.19.19.002.044) - ბეტონის მშრალი ნარევიების საწარმო (იხ. სურათი 3.1.2. საკვლევ ტერიტორიის ორთოფოტო).

სურათი 3.1.3. საკვლევ ტერიტორიის ორთოფოტო





3.2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

3.2.1. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება

ასფალტბეტონი მიიღება გარკვეული წონითი თანაფარდობით აღებული ღორღის, ქვიშის სხვადასხვა ფრაქციების და მინერალური ფხვნილის ბიტუმთან შერევით და სითბური დამუშავებით, დადგენილ ტექნოლოგიურ პირობებში.

შპს „ჯეუ გრუპი“ ასფალტბეტონის საწარმოებლად გამოიყენებს გერმანული ფირმა-BENNINGHOVEN-ის, ECO-4000 ტიპის კონტეინერული დიზაინის ასფალტბეტონის დანადგარს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით, გამოირჩევა მაღალი უსაფრთხოებით და გარემოზე ძალიან დაბალი ნეგატიური ზემოქმედებით, როგორცაა: ნავთობპროდუქტების დაღვრის საწინააღმდეგო სისტემა, ავარიული სიტუაციების ბერკეტი, ეფექტური აირგამწმენდი სისტემა, CO₂-ის დაბალი ემისია და ხმაურის დონის დაბალი მაჩვენებელი. დანადგარს ასევე გააჩნია, მომხმარებლის საჭიროების მიხედვით, დოზირების სისტემის ორი რეჟიმი: საშუალო დოზირების ციკლი და შემრევის პირდაპირი დოზირების რეჟიმი, რომლის დროსაც ხდება ენერჯის 25-30%-ით დაზოგვა. იხ. სურათი 2.2.1.1.

160° C-იანი ნარევის მიღება შესაძლებელია შემდეგი სტანდარტული პირობებით:

- ინერტული მასალის ტენიანობა $\leq 4\%$;
- ინერტული მასალის მარცვლოვანი შემადგენლობის მაქსიმალური ზომა - 40 მმ;
- არა ფოროვანი და ჰიდროსკოპიური მასალა;
- ინერტული მასალის ტემპერატურა საშრობი ბლოკის შესასვლელთან 10°C;
- ცხელი შერევის აგრეგატის თბოგამტარობის ზრდა -160 K;
- გამაცხელებელი აგრეგატის მაქსიმალური ტემპერატურა 400°C;
- საცერში გამავალი მასალა 80 მკმ³ 8 %;
- 30°-ის მქონე დახრის კუთხესთან მიმართებაში ინერტული მასალის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს ≥ 1.650 კგ/მ³-ს;
- მზა ნარევის სიმკვრივე $> 1,800$ კგ/მ³;
- ნარევის ნარჩენი ტენიანობა - 0,3 %;
- წარმადობის მაჩვენებელი მოიცავს ყველა შემავსებელს და დამატებული ბიტუმის 5%-იან საშუალო მნიშვნელობას;
- საწარმოო დაშვების მაჩვენებელი გარემო პირობებისა და პარამეტრების გათვალისწინებით არის $\pm 10\%$;
- თავისუფალი ვარდნის ჰორიზონტალური აჩქარება - 0,4 მ/წმ²
- ქარისმიერი დაწნევა $v \leq 25$ მ/წ.

შრობის მოცულობა: 260 ტ/სთ, 4%-იანი ტენიანობის არა ფოროვანი მასალის შემთხვევაში. შერევის მოცულობა: 320 ტ/სთ, შემდეგ პირობებში - 80 დოზა/სთ, შერევის ციკლი 45 წმ/დოზა.



სურათი 3.2.1.1. ასფალტშემრევი BENNINGHOVEN, ECO-4000, დოზირების საშუალო ციკლი და შემრევის პირდაპირი დოზირება



წყარო: <http://benninghoven.su>



კონტენერული ტიპის ასფალტშემრევი ქარხნის BENNINGHOVEN, ECO-4000-ის საერთო ხედი წარმოდგენილია სურათზე 3.2.1.2.

განსახილველი ასფალტბეტონის ქარხანა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტისგან:


- ინერტული მასალების მიმღები ბუნკერები;
- ასფალტშემრევი აგრეგატი;
- შემავსებლის სილოსები;
- საშრობი დოლი;
- აირების გამწმენდი სისტემა;
- ბიტუმის ცისტერნები;
- მართვის კაბინა;
- ინერტული მასალების დასაწყობების ადგილები;
- ბიტუმის საცავი.

საწარმოს გენ-გეგმა წარმოდგენილია ნახაზზე 3.2.1.1.

საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ პროდუქციის (სხვადასხვა მარკის ასფალტი) დამზადება ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციებს:

- ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალების (ინერტული მასალები, ბიტუმი, მინერალური ფხვნილი) მიღებას;
- შემოსული მასალების ხარისხის და სხვა აუცილებელ კონტროლს;
- მასალების დროებით დასაწყობებას;
- მასალების მიწოდებას ასფალტის ქარხნის მიმღებ ბუნკერში;
- ასფალტის ნარევის დამზადებას;
- პროდუქციის დატვირთვას ტრანსპორტზე და მის გატანას წარმოების ტერიტორიიდან;
- საწარმოო ნარჩენების მართვას (გადამუშავება, გადაცემა გადამუშავებისა და აღდგენა/განთავსების მიზნით).


სურათი 3.2.1.2. კონტეინერული ტიპის ასფალტშემრევი ქარხნის BENNINGHOVEN, ECO-4000-ის საერთო ხედი



ნახაზი 3.2.1.1. საწარმოს გენ-გეგმა

ეკსპლიკაცია

1. ჭიშკარი;
2. დაცვის ჯიხური;
3. საწარმოს მართვის ჯიხური;
4. ბიტუმის ცისტერნები;
5. ბიტუმის ავზი;
6. ბიტუმის ავზის გამფრქვევი მილი;
7. ინერტული მასალები;
8. სილოსები;
9. საკვამური;
10. მიმღები ზუნკერები;
11. ინერტული მასალები;
12. სასწორი;
13. ორდონიანი სალექარი;
14. სანიაღვრე არხი;
15. სანიაღვრე მილი;
16. სანიაღვრე კოლექტორი.



3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება

BENNINGHOVEN, ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევე დანადგარს გააჩნია 5 ჩასატვირთი ბუნკერი, თითოეული 20 მ³ ტევადობით, 4.650 მ სიმაღლითა და 4.2 მ სიგანით. ჩასატვირთ ბუნკერებზე მოწყობილია მანიშნებელი შუქურა რომელიც ოპერატორს ანიშნებს მასში არსებული ინერტული მასალის რაოდენობაზე. თითოეულ ბუნკერი აღჭურვილია 100x100 მმ ცხავით, რომელიც აკავებს არასტანდარტული ზომის ინერტულ და სხვა არასასურველ მასალას. მიღებული საჭირო გრანულოვანი სუფთა ინერტული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიემართება საშრობ დოლში.

სურათი 3.2.2.1. ინერტული მასალის ჩასატვირთი ბუნკერები



საშრობი დოლი, რომელიც დამზადებულია მყარი ფოლადის კონსტრუქციისგან და ამოგებულია სპეციალური მასალით, საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას მაქსიმალური თბოეფექტურობა (იხ. სურათი 3.2.2.2.).

საშრობი დოლის ძირითადი პარამეტრებია:

- საშრობი დოლის ტიპი- TT 10.24E;
- სიგრძე -10 000 მმ;
- დიამეტრი - 2 400 მმ;
- კედლის სისქე - 12 მმ;
- ძრავის სიმძლავრე - 4 x 18,5 კვტ;
- საჭაერო იზოლაცია. გამოიყენება გადახურების პრევენციისთვის;
- ალუმინის საფარი. ალუმინის ზედაპირი უზრუნველყოფს სითბოს დაკარგვის პრევენციას. სისქე: 1,5 მმ;
- სიმძლავრე: 18,5 კილოვატი.

საშრობი დოლი დაკავშირებულია მტვერშემკრებ სისტემაზე, სადაც ხდება გამოყოფილი მტვერაირ ნარევის მტვრის ნაწილაკებისაგან გაწმენდა.

სურათი 3.2.2.2 . საშრობი დოლი



წვის კამერა წარმოადგენს მონო ბლოკის დიზაინის მქონე კომპაქტურ დანადგარს. საშრობთან ერთად, შიდა რადიალურ-აქსიალური ვენტილიატორის მიერ წარმოქმნილი ჰაერის ნაკადი უზრუნველყოფს საუკეთესო წვის შესაძლებლობას (იხ. სურათი 2.2.2.3).

სურათი 3.2.2.3. წვის კამერა - ტიპი "EVO JET 4 FU G"



აალებისათვის საჭირო საწვავისა და ჰაერის ზუსტი პროპორციების განსაზღვრა უზრუნველყოფილია ავტომატური მოწყობილობით. ავტომატური მოწყობილობის გააქტიურება ხდება კონტროლის ბერკეტების, ზეთის საზომი სარქველისა და მრავალ განშტოებიანი ჰაერის შეტანის მექანიზმების მეშვეობით. ეფექტური და სრულყოფილი აალების უზრუნველყოფის მიზნით ზეთის შეტანა უმცირეს ნაწილაკებში ხდება ტუმბოს ზეწოლით.

წვის კამერის ზედა ნაწილი (სახურავი) შექმნილია ტემპერატურის მიმართ მდგრადი ფოლადისგან. მართვის პანელით ხდება წვის კამერის სიმძლავრის კონტროლი. ტემპერატურის გაზომვა ხორციელდება საწვავის გამოსაშვებ ნაწილში სწრაფი რეაგირების მქონე ტემპერატურის სენსორის მიერ.



ხმაურის დონის შემცირება უზრუნველყოფილია ხმის დამხშობი მოწყობილობით, რომელიც დამაგრებულია წვის კამერის უკანა მხარეს.

წვის კამერის ძირითადი პარამეტრებია:

- სანთურის ტიპი - "EVO JET 4 FU G"
- ბუნებრივი აირის ხარჯი: 445-2,684 მ³/სთ;
- არეალი: 1:6;
- თბომომხმარება: 23,720 კვტ;
- ვენტილატორის სიმძლავრე: 30 000 მ³/სთ;
- ვენტილატორის ძრავი: 45 კვტ.

მტვერშემკრები სისტემა წარმადობით 78.000 ნმ³/სთ - მოდულური დიზაინისაა და პასუხობს ევროპის სტანდარტების უმკაცრეს მოთხოვნებს. ფილტრის კაბინა იზოლირებულია და მოპირკეთებულია პროფილური ფოლადის ფირფიტებით. შიდა მხარე დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით. სისტემას გააჩნია ხელსაყრელი ზომის კარი, რომლითაც ადვილად მოწმდება ფილტრის მდგომარეობა. დიდი უპირატესობა გააჩნია ვერტიკალურად განლაგებულ ფილტრ-ტომრებს, რომელთა გამოცვლაც ტექნიკურად არ არის რთული და ინსტრუმენტის გამოყენებას არ საჭიროებს. სისტემაში მოთავსებული 200 ტომარა წარმოადგენს ქსოვილოვან, სახელოებიან ფილტრებს, რომელთაც ახასიათებთ ხანგრძლივი "სასიცოცხლო ციკლი" (რამდენიმე ათეული წელი). მტვერშემკრებ სისტემას გააჩნია ინოვაციური ხმაურდამხშობი მაყუჩი, რომელის მეშვეობითაც ხდება გარემოში ხმაურის გავრცელების ეკრანირება. ფილტრები ავტომატურად იწმინდება განცალკევებულად დამონტაჟებული ვენტილატორით, რომელიც ახდენს უკუდაბერვას. ვენტილატორი ფილტრში ციკლურად მოძრაობს და წმენდს ფილტრებს. ნაწმენდი მასა ძაბრის მეშვეობით გროვდება მტვერშემკრები სისტემის ქვემოთ არსებულ ბუნკერში, საიდანაც ხრახნული კონვეიერით ბრუნდება წარმოებაში.

სურათი 3.2.2.4. აირგაწმენდის სისტემა და ქსოვილოვანი ფილტრები



მტვერშემკრები სისტემა დაცული უნდა იყოს, მასში სხვა ნივთიერებების მოხვედრისაგან, არასასურველია აალებადი მასალის სისტემაში მოხვედრა, რამაც შესაძლოა ავარიული სიტუაცია განავითაროს.

ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მტვერშემკრები სისტემის მიერ გამოყოფილ აირის ტემპერატურას. დაბალმა ტემპერატურამ (+15°C) შეიძლება გამოიწვიოს მტვერშემკრების კოროზია ან შემაკვებელი ხრახნული კონვეიერების ბლოკირება.



მტვერშემკრებ სისტემას გააჩნია სუფთა ჰაერის სარქველი ფილტრში მაღალი ტემპერატურის თვიდან ასაცილებლად. გაწმენდილი აირი გამოიფრქვევა 12 000 მმ სიმაღლის (მიწის ზედაპირიდან) და 1,050 მმ დიამეტრის მილის საშუალებით.

საშრობ დოღში საჭირო დონეზე გამომშრალი ინერტული მასალა მიეწოდება სპეციალურ შემნახველ ბუნკერს სადაც იყოფა ფრაქციებად და სპეციალური დოზირებით, ასფალტბეტონის რეცეპტის შესაბამისად ჩაიტვირთება შემრევ განყოფილებაში. ჩატვირთვა ხდება ასფალტშემრევზე არსებული პნევმოკარების მეშვეობით. ასფალტშემრევი დამზადებულია თუჯისგან, მისი წარმადობა შეადგენს 320 ტ/სთ-ს. აღნიშნულ მასას აქვე დაემატება შემავსებელი (მინერალური ფხვნილი) და შესაბამის ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი, შემდგომ კი ხდება აღნიშნული მასის ინტენსიური შერევა. ასფალტშემრევი აღჭურვილია სპეციალური ვენტილატორით რომელიც ახდენს აქ წარმოქმნილი მტვრის გამოდევნას და მტვერშემკრებ სისტემაში მიწოდებას.

სურათი 3.2.2.5. შემრევი კოშკი



სურათი 3.2.2.6. ასფალტშემრევი აგრეგატის ჭრილი



მინერალური ფხვნილი განთავსებულია 60 მ³ მოცულობის შემავსებლის სილოსში და შემრევთან დაკავშირებულია ხრახნიანი კონვეიერით.

ბიტუმის განსათავსებლად განკუთვნილია 3 ც ბიტუმსაცავი ვერტიკალური ავზი, თითოეულის მოცულობა შეადგენს 50ტ, 50ტ, 45 ტ. ასევე, ტერიტორიაზე ბიტუმის განთავსება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ბეტონის რეზერვუარში 160 ტ. ტევადობით. ავზებში ბიტუმის გაცხელება ხდება მასში დამონტაჟებული ელექტო გამაცხელებლებით, მაქსიმალური ტემპერატურა შეადგენს 130°C. ბიტუმის გაცხელების და მიწოდების სისტემა ენერჯის დანაკარგის მინიმიზაციის მიზნით, დამზადებულია თბოსაიზოლაციო მასალისგან. ბიტუმსაცავი ავზები ასფალტშემრევთან დაკავშირებულია ბიტუმმიწოდებელი ტუმბო-მილით (950 ლ/წთ).

სურათი 3.2.2.6. ბიტუმის ავზები და შემავსებელი სილოსი



გარკვეული დროის შერევის შემდეგ ნარევი მასა წარმოადგენს მზა ასფალტს, რომლისთვისაც ასფალტშემრევის ქვეშ მოწყობილია მზა პროდუქციის ბუნკერები რომლებიც გარედან დაფარულია შესაფუთი თბოსაიზოლაციო მინა-ბამბით, ტემპერატურის დაკარგვის მინიმუმაციის მიზნით. უკვე მზა პროდუქცია ბუნკერებიდან ჩაიტვირთება სატვირთო მანქანებში და მოხდება ტერიტორიიდან გატანა, ჩატვირთვისას ასფალტბეტონის დაფანტვის და დაბინძურების თვიდან ასაცილებლად დანადგარს გააჩნია დაფანტვის საწინააღმდეგო სისტემა.

აუცილებელია წარმოებული პროდუქტი იყოს გარკვეული ტემპერატურამდე გაცხელებული, ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა ტემპერატურის კონტროლს, რისთვისაც ასფალტშემრევის გააჩნია სპეციალური ინფრაწითელი გამოსხივების გამზომი, რომელიც ამოწმებს ნამზადი პროდუქტის ტემპერატურას.

ასფალტბეტონის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვა ავტომატურია და ხდება სამართვი კაბინეტიდან ოპერატორის მიერ.

ოპერატორის კაბინა განიერია, დიდი ზომის ფანჯრებით, რაც იძლევა მთლიანი საწარმოს ხედვის საშუალებას. კონტეინერი კარგად იზოლირებულია და გარედან დაფარულია პროფილური ფურცლოვანი მასალით.

სურათი 3.2.2.7. მართვის კაბინა



ფანჯრები შეიძლება დაცული იქნას ჟალუზით. კედლები, იატაკი და ჭერი დაფარულია სენდვიჩის ტიპის პროფილური პლასტმასით. კონტეინერი აღჭურვილია შიდა განათების, გათბობის და ელ. კვების წყაროს სრული კომპლექტით.

3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია

ასფალტბეტონის ქარხნის BENNINGHOVEN, ECO-4000-ის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 320 ტ/სთ-ში. ასფალტის წარმოების დაგეგმილი მოცულობა შეადგენს - 204 800 ტ/წელ.

წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 60-70% იქნება მსხვილფრაქციული (მკვრივი და ფოროვანი) ასფალტის ნარევი, ხოლო 30-40% იქნება წვრილფრაქციული ასფალტის ნარევი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასფალტის ქარხანა უშვებს სამ-სამი დასახელების ასფალტის ნარევს:

- მსხვილმარცვლოვანს ფოროვანს (ქვედა შრის დასაგებად) - 70 000.00 ტონა/წელიწადში
- მსხვილმარცვლოვანს მკვრივს (ქვედა შრის დასაგებად) - 60 000.00 ტონა/წელიწადში
- წვრილმარცვლოვანს (ზედა შრის დასაგებად) - 70 000.00 ტონა/წელიწადში.

მსხვილმარცვლოვანი (ფოროვანი) ასფალტის ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა) მოცემულია ქვემოთ ცხრილში 3.2.3.1.



ცხრილი 3.2.3.1. მსხვილმარცვლოვანი (ფოროვანი) ასფალტის ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა)

კომპონენტების დასახელება	შემადგენლობა		
	მინერალური ნაწილის მასიდან %	ასფალტბეტონის ნარევის მასიდან %	წონა 1000 კგ-იან ერთ ნარევეში
ღორღი ფრ. 10-20 მმ	41.2	39.4	394
ღორღი ფრ. 5-10 მმ	23.6	22.6	226
ქვიშა-ღორღის ნარევი ფრ. 0-5 მმ	30.6	29.2	292
ბიტუმი მარკით БНД 60/90	4.6	4.4	44
მინერალური ფხვნილი	4.6	4.4	44
სულ	104.6	100.0	1000

მსხვილმარცვლოვანი (ფოროვანი) ასფალტის ნარევის მოსამზადებლად საწარმოს წლიური მოთხოვნა ნედლეულსა და მასალებზე მოცემულია ქვემოთ:

- ღორღი სხვადასხვა ფრაქციის – $70000 / 100 * 59,02 = 41\ 314,0$ ტონა;
- ქვიშა-ღორღის ნარევის ფრ. 0-5მმ – $70000 / 100 * 36,18 = 25\ 326,00$ ტონა;
- ბიტუმი მარკით БНД 60/90 – $70000 / 100 * 4,76 = 3\ 332,00$ ტონა;
- მინერალური ფხვნილი – $70\ 000 / 100 * 4,74 = 3\ 318,0$ ტონა;
- ბუნებრივი აირი $70000 * 10,9983 = 769,3$ ათასი მ3.

მსხვილმარცვლოვანი (მკვრივი) ასფალტის ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა) მოცემულია ქვემოთ ცხრილში 2.2.3.2.

ცხრილი 3.2.3.2. მსხვილმარცვლოვანი (მკვრივი) ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა)

კომპონენტების დასახელება	შემადგენლობა		
	მინერალური ნაწილის მასიდან %	ასფალტბეტონის ნარევის მასიდან %	წონა 1000 კგ-იან ერთ ნარევეში
ღორღი ფრ. 20-40 მმ	4.5	4.3	43
ღორღი ფრ. 5-20 მმ	60.3	57.7	577
ქვიშა-ღორღის ნარევი ფრ. 0-5 მმ	30.6	29.2	292
მინერალური ფხვნილი	4.6	4,4	44
ბიტუმი მარკით БНД 60/90	4.6	4.4	44
სულ	104.6	100.0	1000

მსხვილმარცვლოვანი (მკვრივი) ასფალტის ნარევის მოსამზადებლად საწარმოს წლიური მოთხოვნა ნედლეულსა და მასალებზე მოცემულია ქვემოთ:

- ღორღი სხვადასხვა ფრაქციის – $60\ 000 / 100 * 61,56 = 36\ 936,40$ ტონა;
- ქვიშა-ღორღის ნარევის ფრ. 0-5მმ – $60\ 000 / 100 * 28,41 = 17\ 046,0$ ტონა;
- მინერალური ფხვნილი – $60\ 000 / 100 * 4,74 = 2\ 844,0$ ტონა;
- ბიტუმი მარკით БНД 60/90 – $60\ 000 / 100 * 5,30 = 3\ 180,0$ ტონა;



- ბუნებრივი აირი $60000 \cdot 10,9983 = 659,4$ ათასი მ3.

წვრილმარცვლოვანი ასფალტის ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა) მოცემულია ქვემოთ ცხრილში 3.2.3.3.

ცხრილი 3.2.3.3. წვრილმარცვლოვანი ასფალტის ნარევის შემადგენლობა (რეცეპტურა)

კომპონენტების დასახელება	შემადგენლობა		
	მინერალური ნაწილის მასიდან %	ასფალტბეტონის ნარევის მასიდან %	წონა 1000 კგ-იან ერთ ნარევაში
ღორღი ფრ. 5–20 მმ	23	21.7	217
ღორღი ფრ. 5–10 მმ	23.4	22.1	221
ქვიშა-ღორღის ნარევი ფრ. 0–5 მმ	43	40.6	406
ნარჩენი მტვერი	10.6	10.0	100
ბიტუმი მარკით БНД 60/60	5.9	5,6	56
სულ	105.90	100.0	1000

წვრილმარცვლოვანი ასფალტის ნარევის მოსამზადებლად საწარმოს წლიური მოთხოვნა ნედლეულსა და მასალებზე მოცემულია ქვემოთ:

- ღორღი სხვადასხვა ფრაქციის – $70\,000 / 100 \cdot 52,00 = 36\,400,0$ ტონა;
- ქვიშა-ღორღის ნარევი ფრ. 0–5 მმ – $70\,000 / 100 \cdot 35,9 = 25\,130,0$ ტონა;
- ნარჩენი მტვერი – $70\,000 / 100 \cdot 6,62 = 4\,634,0$ ტონა;
- ბიტუმი მარკით БНД 60/90 – $70\,000 / 100 \cdot 5,48 = 3\,836,0$ ტონა;
- ბუნებრივი აირი $70000 \cdot 10,99$ მ3 = 769,3 ათასი მ3.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მავნე ნივთიერებათა გამოყოფის სხვადასხვა წყაროებიდან გაფრქვევების რაოდენობის ანგარიშისათვის ქვემოთ ცხრილში 3.2.3.4. მოცემულია ნედლეულისა და მასალების წლიური ხარჯები (დანადგარზე მომზადებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად).

ინერტული მასალების მოწოდება მოხდება ახლოს მდებარე მოპოვების სანებართვო ლიცენზიის მქონე კარიერიდან. ასფალტის ქარხნის ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა მოხდება თვითმცლელელებით. ინერტული მასალები პირდაპირ მიეწოდება ქარხნის მიმღებ ბუნკერებს, ან დროებით დასაწყობდება ბუნკერების მიმდებარედ გათვალისწინებულ ღია საწყობებში.

ბიტუმის შემოტანა გათვალისწინებულია ბიტუმშიდი სპეცავტომობილებით. მოხდება შემოტანილი ბიტუმის გახურება და ბიტუმის რეზერვუარში დასაწყობება.

მინერალური ფხვნილი ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით. მინერალური ფხვნილი შეინახება ჰერმეტიკულად დახურულ კამერებში (სილოსში).

ცხრილი 3.2.3.4. ასფალტის ნარევისათვის საჭირო მასალების წლიური ხარჯის შესახებ მონაცემები:



კომპონენტების დასახელება	წედლეულისა და მასალების წლიური ხარჯები			სულ (ტ, ლ, მ ³)
	მსხვილმარცვლოვანი (ფოროვანი) ასფალტბეტონის ნარევის მოსამზადებლად	მსხვილმარცვლოვანი (მკვრივი) ასფალტბეტონის ნარევის მოსამზადებლად	წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ნარევის მოსამზადებლად	
ღორღი სხვადასხვა ფრაქციის	41 314,0 ტ	36 936,40 ტ	36 400,0 ტ	114 650, 40 ტ
ქვიშა-ღორღის ნარევი ფრ. 0-5 მმ	25 326,00 ტ	17 046,0 ტ	25 130,0 ტ	67 502,0 ტ
მინერალური ფხვნილი	3 318,0 ტ	2 844,0 ტ	4 634,0 ტ	10 796,0 ტ
ბიტუმი БНД 60/90	3 332,00 ტ	3 180,0 ტ	3 836,0 ტ	10 348,0 ტ
ბუნებრივი აირი	769,3 ათასი მ ³	659,4 ათასი მ ³	769,3 ათასი მ ³	2 198,0 ათასი მ ³

ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში საჭირო წედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ იხილეთ შესაბამისი სქემები (სქემები: 3.2.3.1.; 3.2.3.2.; 3.2.3.3.; 3.2.3.4.). წედლეულის ტრანსპორტირების სქემაზე მოცემულია ინფორმაცია წედლეულის სრული მარშრუტების და ტრანსპორტირების საჭირო დროს შესახებ, ხოლო პროდუქციის ტრანსპორტირების სქემებზე მოცემულია პროდუქციის გატანის პროგნოზული მიმართულებები.

რაც შეეხება წედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკს, დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების ტენდერების მიმდინარეობასთან და საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, პერიოდულად შემუშავდება დაგეგმილი სამუშაოების შესაბამისად.




სქემა 3.2.3.1.


Google Maps


საიდან: ქვემო ქართლის მხარე სად: 6 ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, თბილისი
 დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით)

ავტომგზავრობა 15,9 კმ, 19 წთ



სურათები ©2022 Maxar Technologies, სურათები ©2022 CNES / Airbus, Landsat / Copernicus, Maxar Technologies, რუკის მონაცემები ©2022 1 კმ

 კახეთის გზატკეცილი-ის **19 წთ**
 გავლით **15,9 კმ**
 Fastest route now due to traffic conditions


 ს5 და კახეთის გზატკეცილი-ის **19 წთ**
 გავლით **15,9 კმ**



სქემა 3.2.3.2.



საიდან:6 ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, თბილისი სად: E60 ავტომგზავრობა 27,0 კმ, 37 წთ
დეტალური ინფორმაცია მზა პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის
მითითებით (რუკაზე ჩვენებით)



სურათები ©2022 CNES / Airbus,Maxar Technologies,Maxar Technologies,სურათები ©2022 TerraMetrics,რუკის მონაცემები ©2022 2 კმ



თბილისი-სენაკი-
ლესელიძის გზატკეცილი/ს1-
ის გავლით

37 წთ

27,0 კმ

Fastest route now due to traffic conditions




სქემა 3.2.3.3.

Google Maps

საიდან:6 ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, თბილისი სად:
სართიჭალა

ავტომგზავრობა 26,7 კმ, 28 წთ

დეტალური ინფორმაცია მზა პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამომხრამ მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით)



სურათები ©2022 Maxar Technologies,Maxar Technologies,სურათები ©2022 TerraMetrics,რუკის მონაცემები ©2022 1 კმ



კახეთის გზატკეცილი და ს5-ის
გავლით 28 წთ
26,7 კმ

Fastest route now due to traffic conditions




სქემა 3.2.3.4.

Google Maps

საიდან: ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, თბილისი სად: ავტომგზავრობა 65,7 კმ, 1 სთ 18 წთ ბოლნისი

დეტალური ინფორმაცია შპს პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამომდრამო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით)



სურათები ©2022 CNES / Airbus, Maxar Technologies, Maxar Technologies, სურათები ©2022 TerraMetrics, რუკის მონაცემები ©2022 2 კმ



სა-ის გავლით

1 სთ 18 წთ

Fastest route now due to traffic conditions

65,7 კმ



3.2.4. ხანძარქრობა

ხანძართან ბრძოლისთვის გამოყენებული იქნება მშრალი ცეცხლმაქრები და შესაბამისად, დაგეგმილი არ არის ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების წყლის უზრუნველყოფა და შენახვა.

3.2.5. მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი

საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სულ დასაქმებული იქნება 10-12 ადამიანი.

საწარმო მუშაობა უწყვეტ რეჟიმში დაგეგმილი არ არის. საწარმო იმუშავებს შემდეგი რეჟიმით:

- ერთცვლიანი სამუშაო დღე;
- ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი;
- კვირაში 1-3 სამუშაო დღე (საჭიროების შესაბამისად);
- წელიწადში \approx 80 სამუშაო დღე.

3.2.6. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა

3.2.6.1. წყალმომარაგება

საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოადგენს მრავალპროფილური საქმიანი ეზოს გაგრძელებას. რაც განაპირობებს იმას, რომ საწარმოს ტერიტორიაზე საპირფარეშოს მოწყობა დაგეგმილი არ არის და მუშა პერსონალი ისარგებლებს საწარმოს ტერიტორიის გაგრძელებაზე არსებული საქმიანი ეზოში განთავსებული საპირფარეშოთი. საშხაპეების მოწყობა საწარმოს პერსონალისთვის გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე წყლის გამოყენება მოხდება, მხოლოდ სასმელი დანიშნულებით.

საწარმოს პერსონალის სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხდება ბუტილირებული წყლით, შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

სასმელად გამოსაყენებელი ბუტილირებული წყლის წლიური რაოდენობა შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით იქნება:

- მუშა პერსონალის რაოდენობა - 12 კაცი;
- 8 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის მაქსიმუმი - 5 ლ;
- სამუშაო დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში - 80 დღე;

$$12 \cdot 5 \cdot 80 = 4800 \text{ ლ/წ} = 4,8 \text{ მ}^3/\text{წ}$$



3.2.6.2. სანიაღვრე წყლების არინება

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება მხოლოდ სანიაღვრე ჩამდინარე წყლები.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. საწარმოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$W = 10 \cdot h \cdot \Psi \cdot F$$

სადაც:

W – სანიაღვრე წყლების მოცულობა, მ³/დღ. (მ³/წელ); h – ნალექების რაოდენობა (H, მმ), აიღება „დაპროექტების ნორმების-სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) შესაბამისად;

Ψ – წვიმის წყლების ნაკადის საერთო კოეფიციენტი, რომლის ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის ცხრილში 3.2.6.2.1;

F – საანგარიშო ტერიტორიის ფართობი, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,64 ჰა.

ნალექების რაოდენობა (H, მმ) მიღებულია „დაპროექტების ნორმების-სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი მეტეოსადგურის (თბილისი, აეროპორტის) მონაცემების გათვალისწინებით ნალექების რაოდენობა შეადგენს:

№	დასახლებული პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
1	2	3	4
52	(თბილისი, აეროპორტის)	540	145

აღნიშნული მონაცემების, ტერიტორიის არსებული და პერსპექტიული განაშენიანების მიხედვით განხორციელდა წვიმის წყლების ნაკადის საერთო კოეფიციენტის (Ψ) ანგარიში (იხ. ცხრილი 3.2.6.2.2).

ცხრილი 3.2.6.2.2. წვიმის წყლების ნაკადის საერთო კოეფიციენტის ანგარიში (Ψ)

წყალშემკრები ტერიტორიის ზედაპირის სახე	საანგარიშო ტერიტორიის ფართობი, Fi, ჰა	წილი საერთო ფართობში, Fi/ F	ნაკადის კოეფიციენტი, Ψi	Ψi Fi / F
შენობებისა და ნაგებობების სახურავი	0,04	0,1290	0,8	0,1032
მყარი საფარი	0,09	0,0290	0,6	0,0174
გრუნტის საფარი	0,18	0,5806	0,2	0,1161
	Σ Fi=0,31	Σ =1,00		Ψ = 0,2367



აღნიშნული მონაცემების გამოყენებით წვიმების დროს წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მაქსიმალურ სადღეღამისო და საშუალო წლიური რაოდენობა იქნება:

$$W_{წელ.} = 10 * h * \Psi * F = 10 * 540 * 0,2367 * 0,64 = 818 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

$$W_{დღ.დ.} = 10 * h * \Psi * F = 10 * 145 * 0,2367 * 0,64 = 219,7 \text{ მ}^3/\text{დღ.დ. (4,43 მ}^3/\text{სთ)}$$

საწარმოს პროფილის გათვალისწინებით, მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლებში ძირითადად მოსალოდნელია, შეწონილი ნაწილაკების და ნავთობპროდუქტების მოხვედრა, რის გამოც დაგეგმილია ტერიტორიაზე ორდონიანი სალექარის მოწყობა.

სამრეწველო საწარმოებიდან სანიაღვრე წყლების ხარისხისადმი დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით საწარმოში ტერიტორიის მოედნების პერიმეტრზე მოწყობილი იქნება სანიაღვრე რკინა-ბეტონის ცხაურიანი არხი, განივკვეთით 40სმ*40სმ, სიგრძით 42,5 მეტრი, რომლებიც ღია ცხაურების მეშვეობით შეკრებს წყალს და მიმართავს ორდონიანი სალექარისკენ. სალექარის პირველ დონეში მოხდება წყლის შეწონილი ნაწილაკებისაგან გამოცალკევება, ხოლო მეორე დონეში მოხდება წყლის ნავთობპროდუქტებისგან გასუფთავება, რის შემდგომაც სუფთა წყალი მიწიქვეშა მილების (დიამეტრით 300მმ, სიგრძე 70მ.) და ორი ჭის გავლით, დაერთდება ქ.თბილისის ცენტრალურ სანიაღვრე სისტემაზე, ქსელის ოპერატორთან შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

სალექარში წარმოქმნილი შეწონილი ნაწილაკების ლექი 70% შევსებისთანავე, გაიწმინდება და ნარჩენ ნავთობპროდუქტებთან ერთად გამოყენებული იქნება საწარმოო პროცესებში, კერძოდ ასფალტის წარმოებისას პროცესებში.

დაბინძურების საწყის კონცენტრაციად აღებული იქნება ტიპიურ პროექტებში პრაქტიკული გაზომვებით მიღებული მონაცემი, კერძოდ სანიაღვრე ჩამდინარე წყლებისათვის - 1000მგ/ლ., სალექარის გაწმენდის ეფექტურობის გათვალისწინებით, გაწმენდის შედეგად მიღებული იქნება შეწონილი ნაწილაკების შემდეგი კონცენტრაცია:

I სექციაში გაწმენდის შემდგომ შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია ტოლი იქნება: $1000 \times 0,27 = 270 \text{ მგ/ლ.}$

II სექციაში გაწმენდის შემდგომ შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია ტოლი იქნება: $270 \times 0,27 = 7,29 \text{ მგ/ლ.}$

შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული წყლის გაწმენდის მიზნით ექსპლუატაციაში შევა ორსექციიანი ჰორიზონტალური სალექარი - ქვიშის დამჭერი, რომლის მოწყობა იგეგმება ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთის-დასავლეთ მხარეს საკადასტრო საზღვართან ახლოს, მიწის ქვეშ. ორსექციიანი სალექარის პარამეტრები შემდეგია: სიგრძე - 7,4მ, სიგანე - 4მ, სიღრმე - 2,5მ, ხოლო სალექარის საერთო მოცულობა - 74კუბ.მ.

სალექარის საორიენტაციო კოორდინატებია: X-4616251; Y-491609; X-4616249; Y-491617; X-4616245; Y-491616; X-4616246; Y-491609.

ჰორიზონტალური სალექარები (ქვიშის დამჭერები) განკუთვნილია ჩამდინარე წყლებში არსებული მსხვილი ზომის (უპირატესად ქვიშა ზომით 0,25მმ და მეტი), ძირითადად არაორგანული წარმოშობის დამაბინძურებელი ნივთიერებების (ან მინარევების) შესაკავებლად.



საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლები კომპაქტურ გამწმენდ ნაგებობაში მექანიკური გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება არსებულ საკანალიზაციო ქსელში რაზეც უკვე არსებობს შეთანხმების წერილი (იხ. შესაბამისი დანართი).

3.2.7. ნარჩენების მართვა

საქმიანობის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე არა სახიფათო ნარჩენები. მოსალოდნელია შემდეგი სახის და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. იხ. ცხრილი 3.2.7.1.

ნარჩენების მართვა განხორციელდება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერებში და შემდგომ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ტერიტორიიდან გატანილი იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ.



ცხრილი 3.2.7.1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მიახლოებითი რაოდენობები:

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო დიახ/არა	სახიფათოობის მახასიათებელი	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით			განთავსება/ ადდგენის ოპერაციები	ნარჩენის მართვა კონტრაქტორი კომპანიები
					2023	2024	2025		
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	H3-B - „აალებადი“ H5- „მავნე“	მყარი	0.5 ტ	0.5 ტ	0.5 ტ	D10	შპს „თბილსერვის ჯგუფი“
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	მყარი	1 ტ	1 ტ	1 ტ	D1	შპს „თბილსერვის ჯგუფი“



საწარმოს ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტექნოლოგიურ თავისებურებებს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული იქნება საქართველოსა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვით და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

მომზადდება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესათანხმებლად წარედგინება საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა.

3.2.8. დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

საწარმოში გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსების სახეები და რაოდენობა მოცემულია ცხრილში 3.2.8.1.

ცხრილი 3.2.8.1.1.

წარმოებული პროდუქციის დასახელება	ბუნებრივი რესურსის დასახელება	რესურსის დანახარჯი წლის განმავლობაში
ასფალტის ნარევი	მიწის ნაკვეთი, ჰა.	6,323
	სასმელი წყალი, მ ³	15,84
	ინერტული მასალები, ტ.	183200

3.3. ალტერნატივების ანალიზი

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზს, ახალი ვარიანტების ფორმირების აღწერას. ამისთვის გამოიყენება გადაწყვეტილებათა მიღების თეორიისა და სისტემური ანალიზის ზოგადი სქემა, რაც გულისხმობს შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების განხორციელებას:

- პრობლემების განსაზღვრას;
- ვარიანტთა სიმრავლის განსაზღვრის მახასიათებლების ნიშნების გამოყოფას;
- შესაძლო საპროექტო გადაწყვეტილებათა სიმრავლის დადგენას;
- ოპტიმალური ვარიანტის შერჩვის კრიტერიუმების განსაზღვრას;
- პრაქტიკულად მიზანშეწონილი რამდენიმე მთავარი ვარიანტის შერჩევას;
- ვარიანტების შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
- ოპტიმალური ვარიანტის შერჩევასა და დასკვნების შემუშავებას.

დაგეგმილი საქმიანობისათვის განხილული იყო შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;



- საწარმოს განთავსების ალტერნატივები;
- ტექნოლოგიური ალტერნატივები;
- მწარმოებლურობის შემცირება/გადიდების ალტერნატივები.

3.3.1. არაქმედების ალტერნატივა

არაქმედების ალტერნატივა გულისხმობს საწარმოს მოწყობაზე უარის თქმას და პროექტის განუხორციელებლობას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზება-განვითარება წარმოადგენს. ბოლო პერიოდში საქართველოში ხორციელდება და ასევე სამომავლოდ დაგეგმილია არაერთი საავტომობილო გზის პროექტი, მათ შორის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ავტომაგისტრალების მოდერნიზაცია. ასეთ პირობებში მშენებლობისთვის საჭირო დამხმარე ობიექტების მოწყობა და ოპერირება გარდაუვალია. სწორედ ასეთ ტიპის ობიექტად შეიძლება განვიხილოთ განსახილველი ასფალტის საწარმოები, რომელიც საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ასფალტის მასალით მოამარაგებს.

განსახილველი ტიპის საქმიანობების გარეშე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განვითარება და ამ თვალსაზრისით საქართველოს მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრა მიუღწეველია ან დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. თავის მხრივ განსახილველ საწარმოსაც ექნება დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, რაც გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადახდაში და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში.

პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში ადგილი არ ექნება გარემოზე ისეთი სახის ზემოქმედებებს, როგორცაა ემისიები, ხმაურის გავრცელება, ნარჩენების წარმოქმნა და ა.შ.

შპს „ჯეუ გრუპი“-ს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გზების მშენებლობა-შეკეთებაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას. საწარმოს მიერ წარმოებული ასფალტი პროდუქციის წარმოება და გამოყენება გათვალისწინებულია ფაქტიურად აღნიშნულ რეგიონში საგზაო სამუშაოების შესასრულებლად.

იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ზემოთ აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვება, თავიდან იქნება აცილებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ყველა შესაძლო ზემოქმედება, რომელსაც იწვევს მოცემული საწარმოს ექსპლუატაცია (ატმოსფერულ ჰაერში წვის პროდუქტების, ხმაურის ემისიები). თუმცა როგორც მომდევნო პარაგრაფებშია მოცემული, პროექტის ადგილმდებარეობა და ტექნოლოგია მსგავსი ზემოქმედებების მაღალი მნიშვნელობებით არ ხასიათდება. მათი მართვა ადვილად შესაძლებელია სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენებით.

პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აღნიშნულ რეგიონში საგზაო სამუშაოების შესასრულებლად ასფალტის პროდუქციით მომარაგება უნდა მოხდეს სხვა ანალოგიური პროფილის საწარმოდან და ამ შემთხვევაში ასფალტის პროდუქციის გადაზიდვების მანძილისა და სატრანსპორტო ნაკადების გაზრდის გამო თავიდან ვერ იქნება აცილებული გარემოზე ატმოსფერულ ჰაერში წვის პროდუქტებისა და ხმაურის ემისიების ზემოქმედება, ამასთან იზრდება როგორც სატრანსპორტო შემთხვევების (ავარიების) რისკები, ასევე გადაზიდვების ხარჯები.



აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ არაქმედების ალტერნატივა, ანუ საქმიანობის არ განხორციელება არ გამოიციხავს გრემოზე პირდაპირ უარყოფით გავლენას, ამავე დროს არ იქმნება სამუშაო ადგილები, არ ვითარდება ეკონომიკა, რაც უარყოფითად მოქმედებს სოციალურ გარემოზე. ამდენად, არქმედების ვარიანტი უარყოფით მოქმედებათა ხასიათს ატარებს და შესაბამისად მიუღებელია.

3.3.2. საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები

საწარმოს პროექტირების პროცესში განიხილებოდა მისი განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორცაა: სამშენებლო-სარემონტო გზებთან სიახლოვე, საწარმოს ტერიტორიის ფუნქციონალური სტატუსი, მისასვლელი გზების, წყალმომარაგების, გაზმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემების სიახლოვე, საწარმოს ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და სხვა.

საწარმოს განთავსების ალტერნატივები განიხილებოდა სხვადასხვა მიწის ნაკვეთებზე, კერძოდ ს/კ-ებით: 01.19.18.001.09; 01.19.18.006.121 და 01.19.18.007.016, დაგეგმილი საქმიანობისათვის ნაკვეთის შერჩევა.

მიწის ნაკვეთი, ს/კ-ით 01.19.18.001.009 აკმაყოფილებდა ასფალტის ქარხნის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ იგი უარყოფილი იქნა იმ მოტივით, რომ მისი არსებული ფართის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მისი მთლიანად ათვისება აღნიშნული ქარხნისათვის არ იყო საჭირო, ხოლო მისი შექმნა დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული.

მიწის ნაკვეთი, ს/კ-ით 01.19.18.006.121 აკმაყოფილებდა ასფალტის ქარხნის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ ტერიტორიის მომიჯნავედ განთავსებული იყოს საცხოვრებელი სახლები.

არსებული ვარიანტების გაანალიზების შედეგად საწარმოს მოწყობის ყველაზე ოპტიმალურ ტერიტორიად მიჩნეული იქნა ქ. თბილისში, თვალჭრელიძის 4 შეს. №1-ში, მდებარე ყოფილი ასფალტის ქარხნის ტერიტორია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.18.007.016).

შერჩეული ტერიტორიის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში:

- ტერიტორია მიეკუთვნება არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიას და წარმოადგენს ასფალტის ქარხნის ყოფილ ტერიტორიას, შესაბამისად პროექტის განხორციელების შემთხვევაში ფიზიკურ და ეკონომიკური განსახლების რისკები არ არსებობს;
- ტერიტორია გამოირჩევა მაღალი ტექნოგენური დატვირთვით (წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტერიტორიას) და ახალი აუთვისებელი ტერიტორიების გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს;
- მიწის ნაკვეთი მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებს (საწარმოს ტერიტორიაზე ხე მცენარეები წარმოადგენილი არ არის, საწარმოს მოწყობისათვის მცენარეული საფარის განადგურება საჭირო არ არის, საკვლევ რაიონში დაცული ტერიტორიები და ზედაპირული წყლის



ობიექტები არ არის განთავსებული), რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებს;

- საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკი ტერიტორიაზე არ ფიქსირდება;
- საწარმოს ტერიტორია უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგების სისტემით, ახლო მანძილზე არსებობს გაზომომარაგების სისტემა, ასევე განვითარებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად აღნიშნული კომუნიკაციების მოწყობისათვის დამატებითი ხარჯების გაღება საჭირო არ იქნება;
- ასევე მნიშვნელოვანია სამშენებლო-სარემონტო გზებთან სიახლოვე;
- საწარმოსათვის შერჩეული ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაცილებულია 280 მ-ის მანძილზე (ტერიტორიის მიმდებარედ არის ძველი საწარმოო სივრცეები, სადაც ვხვდებით თვითნებურად დაკავებულ საცხოვრებელ ფართებს) და მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს განთავსებისათვის შერჩეული ტერიტორია ოპტიმალურია და სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პირობებში, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება ნაკლებადაა მოსალოდნელი.

3.3.3. ტექნოლოგიური ალტერნატივები

ასფალტის წარმოებისათვის განხილული იყო 2 ტექნოლოგიური ალტერნატივა, გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარი და გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „ECO-4000“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარი. ორივე განხილული ტექნოლოგიური ალტერნატივა ერთმანეთის მსგავსია. არსებითი განსხვავება გამოიხატება, მხოლოდ მტვერდამჭერ სისტემაში, შესაბამისად ალტერნატივების განხილვისას შედარება გაკეთდა, მხოლოდ მტვერდამჭერ სისტემებს შორის.

ალტერნატივა 1:

ასფალტის წარმოებისათვის განხილული იყო გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარი, რომლის კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილებია: საშრობი დოლი, ბიტუმსახარში რეზერვუარი და მინერალური ფხვნილის სილოსი. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ასფალტნარევის დამზადება. საწვავად ხდება ბუნებრივი აირის გამოყენება, ხოლო დანადგარი აღჭურვილია მტვრის გამწმენდი სახელოიანი ფილტრით;

მტვერდამჭერი სისტემა - საშრობ დოლსა და წვის კამერაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი მტვრის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის პრევენციის მიზნით დამონაჟებული იქნება თანამედროვე ტიპის ფილტრაციის მობილური აპარატი "MBA 1250". ფილტრაციის მობილური აპარატი დამონტაჟებულია ერთდერძა შასიზე, რომელიც დგას საყრდენ ფეხებზე, რაც მის მარტივ მონტაჟსა და სწრაფ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

მტვერდამჭერი მოწყობილობა წარმოადგენს კასეტური ტიპის ფილტრს, რომელშიც ჰორიზონტალურად არის ჩამონტაჟებული ქსოვილის ფილტრის პარკები, მათთან ადვილი წვდომის



უზრუნველყოფის მიზნით. საწმენდი მექანიზმით ეფექტურად ხდება აღნიშნული პარკების გასუფთავება. ინტეგრირებული წინასწარი სეპარირების აპარატი ახდენს მსხვილმარცვლოვანი და წვრილმარცვლოვანი მასალის ერთმანეთისგან განცალკევებას. შეგროვებული შემავსებლების გაშვება ხდება გამშვები კარებიდან. მსხვილმარცვლოვანი შემავსებლები გადადის ცხელი მასალის ელევატორი 2 ხრახნის მეშვეობით. ხოლო წვრილმარცვლოვანი შემავსებლები გადადის შემავსებლების ელევატორში ასევე 2 ხრახნის მეშვეობით (შესაბამისად ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში).

გამონაბოლქვის გამწოვი ვენტილატორი დამაგრებულია დანადგარის ბოლოში, რომლის თავზეც განთავსებულია საკვამური მილი. საკვამურის გარე ზედაპირები შეღებილია თბომედეგი საღებავით. მართვის პანელი დამონტაჟებულია შასის ჩარჩოზე.

მტვერდამჭერი სისტემის პარამეტრებია:

- საწარმოს წარმადობა 100 ტ/სთ;
- ჰაერის მოცულობა: 28.000 ნმ³/სთ;
- ფილტრაციის ზედაპირი: 400/376 მ²;
- საკვამლე მილის დიამეტრი: 850 მმ;
- საკვამლე მილის სიმაღლე: 12.000 მმ მიწის დონიდან;
- გამწოვი: 55 კვტ.

ალტერნატივა 2:

ასფალტის წარმოებისათვის განხილულ იქნა გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „ECO-4000“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარი, რომლის კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილებია: საშრობი დოლი, ბიტუმსახარში რეზერვუარი და მინერალური ფხვნილის სილოსი. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ასფალტნარევის დამზადება. საწვავად ხდება ბუნებრივი აირის გამოყენება, ხოლო დანადგარი აღჭურვილია აირგაწმენდის სისტემით, რომლის ეფექტურობაა 99,85%. („ECO-4000“ მარკის მობილური ასფალტის ქარხნის დახასიათება მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის პარაგრაფში 2.2.2).

მტვერშემკრები სისტემა წარმადობით 78.000 ნმ³/სთ - მოდულური დიზაინისაა და პასუხობს ევროპის სტანდარტების უმკაცრეს მოთხოვნებს. ფილტრის კაბინა იზოლირებულია და მოპირკეთებულია პროფილური ფოლადის ფირფიტებით. შიდა მხარე დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით. სისტემას გააჩნია ხელსაყრელი ზომის კარი, რომლითაც ადვილად მოწმდება ფილტრის მდგომარეობა. დიდი უპირატესობა გააჩნია ვერტიკალურად განლაგებულ ფილტრ-ტომრებს, რომელთა გამოცვლაც ტექნიკურად არ არის რთული და ინსტრუმენტის გამოყენებას არ საჭიროებს. სისტემაში მოთავსებული 200 ტომარა წარმოადგენს ქსოვილოვან, სახელოებიან ფილტრებს, რომელთაც ახასიათებთ ხანგრძლივი "სასიცოცხლო ციკლი". მტვერშემკრებ სისტემას გააჩნია ინოვაციური ხმაურდამხშობი მაყუჩი, რომელის მეშვეობითაც ხდება გარემოში ხმაურის გავრცელების ეკრანირება. ფილტრები ავტომატურად იწმინდება განცალკევებულად დამონტაჟებული ვენტილატორით, რომელიც ახდენს უკუდაბერვას. ვენტილატორი ფილტრში ციკლურად მოძრაობს და წმენდს ფილტრებს. ნაწმენდი მასა ძაბრის მეშვეობით გროვდება მტვერშემკრები სისტემის ქვემოთ არსებულ ბუნკერში, საიდანაც ხრახნული კონვეიერით ბრუნდება წარმოებაში.



მტვერშემკრებ სისტემას გააჩნია სუფთა ჰაერის სარქველი ფილტრში მაღალი ტემპერატურის თვიდან ასაცილებლად. გაწმენდილი აირი გამოიფრქვევა 12 000 მმ სიმაღლის (მიწის ზედაპირიდან) და 1,050 მმ დიამეტრის მილის საშუალებით.

ტექნოლოგიური ალტერნატივების ანალიზი:

ტექნოლოგიური ალტერნატივების შეფასებისას გამოიკვეთა „ECO-4000“ მარკის ასფალტის ქარხნის მოდერნიზებული მტვერამჭერი სისტემის აშკარა უპირატესობა. ორივე ვარიანტი გერმანული კომპანია „BENNINGHOVEN“-ის წარმოების არის და „ECO-4000“ წარმოადგენს მოდერნიზებულ და შესაბამისად გაუმჯობესებულ ვარიანტს „MBA 1250“-თან შედარებით, რაც გამოიხატება ზოგადად ყველა პარამეტრთან მიმართებაში და განსაკუთრებით გარემოსდაცვითი კუთხით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ECO-4000“ მარკის ასფალტის ქარხნის წარმადობა 3-ჯერ აღემატება „MBA 1250“ მარკის ასფალტის ქარხნის წამადობას, რაც საშუალებას იძლევა დროის ერთეულში 3-ჯერ უფრო მეტი პროდუქცია აწარმოოს და გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხანგრძლივობა შესაბამისად მკვეთრად შეამციროს.

ვინაიდან ასფალტის ქარხნის განთავსების ადგილი მოქცეულია საწარმოო ზონაში და ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების მთავარი სახე ატმოსფერულ ჰაერში ემისიებია, უპირატესობა მიენიჭა უფრო სრულყოფილ მტვერშემკრებ სისტემას.

აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა მე-2 ალტერნატივა.

3.3.4. მწარმოებლობის, დატვირთვის შემცირება/გადიდების ალტერნატივები

საწარმოს წარმადობისა და დატვირთვის შეფასების მიზნით შპს „ჯეუ გრუპი“-ს მიერ განხორციელებულია სპეციალური გამოკვლევები და ამდენად, ასფალტბეტონის ქარხნის BENNINGHOVEN, ECO-4000-ის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 320 ტ/სთ-ში, ხოლო ასფალტის წარმოების პროგრამა - 204800 ტ/წელ.

ასფალტის წარმოების პროგრამა წელიწადში 204800 ტ-ის ოდენობით გამომდინარეობს გზების მშენებლობა-შეკეთებისათვის შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან და სრულად შეესაბამება ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამიტომ, არსებულ პირობებში საწარმოს წარმადობის ცვლილება, მისი შემცირების ან ზრდის თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის.



4. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი

4.1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციას საფუძვლად უდევს ლიტერატურული წყაროები და საფონდო მასალები, სტატისტიკური მონაცემები, დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალები და უშუალოდ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ჩატარებული სავლე კვლევების შედეგები. მოცემული ინფორმაცია შემდგომში გამოყენებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციით უარყოფითი და დადებითი ზემოქმედებების სახეების დასადგენად და მათი მასშტაბების შესაფასებლად.

ქ. თბილისის მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის ორთავე მხარეზე, ქალაქი ძირითადად ქვაბულის ფსკერზეა გაშენებული და ჩრდილოეთის განედის 41°42' და აღმოსავლეთ გრძედის 41°42' -ზე მდებარეობს. ქალაქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედით, კერძოდ, მისი აღმოსავლური განშტოებებით, რომელთა მთისწინეთის ნაწილი უკვე განაშენიანებულია. ქალაქის აღმოსავლეთის საზღვარი გადის ყეენის, მეძვისა და მახათას მთებზე. მტკვრისაკენ მიმართული მათი ფერდობები დასახლებულია. ჩრდილოეთით თბილისი შემოიფარგლება საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთით, ხოლო სამხრეთით თელეთის ქედით.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მდ. მტკვარი თბილისს ორ კარგად გამოხატულ ერთეულად - მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად ყოფს. მარჯვენა სანაპირო რელიეფურად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის განშტოებებით, რომლებიც ციცაბოდ ეშვება მტკვრის ხეობისკენ. მათ შორის მოქცეულია მტკვრის შენაკადთა ხეობები. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში მდებარეობს მახათას მთა, რომლის სიმაღლე 630 მ-ს აღწევს. თბილისის რელიეფი კარგად გამოხატული ტერასებით ხასიათდება.

პირველი ტერასა, რომლის შეფარდებითი სიმაღლე მტკვრის ხეობასთან 1-დან 5-მდე მერყეობს, თბილისის მხოლოდ ცალკეულ უბნებშია. მათ შორის აღსანიშნავია ე. წ. „პესკები“ ანუ რიყე, (ამჟამად სარეკონსტრუქციო და პარკის გაშენების სამუშაოები მიმდინარეობს).

მეორე ტერასა (შეფარდებითი სიმაღლე 7-10 მეტრი) მთლიანადაა განაშენიანებული. აქ მდებარეობს დავით აღმაშენებლის პროსპექტი, დიდუბე, ავჭალა, დილომი.

მესამე ტერასა მდ. მტკვრის დონიდან 20-25 მეტრი სიმაღლისაა. აღნიშნულ ტერასაზე არუსთაველის პროსპექტი, ვაკისა და საბურთალოს ნაწილი, მარცხენა სანაპიროზე კი -ავლაბარი.

მეოთხე ტერასაზე, რომლის სიმაღლე 60-80 მ-ია, გაშენებულია ნამალადევი, ღრმაღლე და ლოტკინი.

მეხუთე ტერასის შეფარდებითი სიმაღლეა 145—160 მ. იგი ყველაზე კარგად გამოხატულია მახათას მთის მიდამოებში, რადგანაც სწორედ აქ აქვს მას პლატოსმაგვარი ფორმა.

თბილისის რელიეფში განსაკუთრებით საინტერესოა ის დეპრესია, რომელიც ამჟამად „თბილისის ზღვას“ უკავია. არადა, აქ რამდენიმე ათეული წლის წინ სამი მლაშე ტბა იყო. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ტბები მდინარე მტკვრის უბეღელს ხეობაში მდებარეობდა.

ქალაქის ტერიტორიაზე სუბტროპიკული, ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ცხელზაფხულიანი ჰავაა. ჰაერი მშრალია, მცირეა ნალექები. ამის მიზეზად ითვლება



გაბატონებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესები, აგრეთვე ქალაქის დასავლეთით მდებარე ქედების განლაგება (ლიხი, თრიალეთი, ჯავახეთი), რომლებიც ელობებიან დასავლეთიდან შემოჭრილნოტიო ჰაერის მასებს.

გაბატონებული (რეჟიმული) ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები უფრო დეტალურად აღწერილია მოცემული თავის კონკრეტულ პარაგრაფებში.

4.1.1. საველე კვლევები საწარმოს განთავსებისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკვლევ ტერიტორია განლაგებულია ქ. თბილისის ჩრდილო აღმოსავლეთ პერიფერიაში, ვარკეთილის ტერიტორიაზე.

გარემოს ფონური მონაცემების მოსაპოვებლად და გადასამოწმებლად გამოყენებული იქნა კამერალური და საველე კვლევები.

საკვლევ ტერიტორიის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა განხორციელდა არსებული საცნობარო, საფონდო მასალების, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების და ტერიტორიის აუდიტის შედეგების საფუძველზე, ხოლო იმ მიმართულებებით, სადაც არსებობდა დანაკლისი ინფორმაცია ან/და საჭიროებდა არსებული ინფორმაციის განახლებას განხორციელდა ლოკალური, მიზნობრივი საველე კვლევები, რომელიც მათ შორის მოიცავდა:

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენის მიზნით;
- მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროექტით მოცული ფართობისა და მისი მიმდებარე არეალის გულდასმით შემოწმება მასზე კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე რაიმე ობიექტის არსებობის გამოვლენისათვის, აგრეთვე ამგვარი ობიექტის არსებობის შემთხვევაში მასზე პოტენციური ზემოქმედების შეფასება;
- ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით ფონური დაბინძურების შესწავლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროექტით მოცული ფართობისა და მისი მიმდებარე არეალის გულდასმით შემოწმება მასზე ატმოსფერულ ჰაერში ემისიის მქონე რაიმე ობიექტის არსებობის გამოვლენისათვის, აგრეთვე ამგვარი ობიექტის არსებობის შემთხვევაში მასზე პოტენციური ზემოქმედების შეფასება;
- ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობის კვლევა;
- ბუნებრივი რადიაციული ფონური მდგომარეობის კვლევა;
- ნიადაგის საფარის, ფაუნის და ფლორის კვლევა;
- ლანდშაფტის კვლევა;
- მიწათსარგებლობის საკითხების კვლევა.

ჩატარებული სამუშაო მიზნად ისახავდა ნებისმიერი სენსიტიური გარემოს ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის განსაზღვრას საწარმოს განთავსების მიკრორაიონის ფარგლებში და ამ მიკრორაიონის სრულ, ყოვლისმომცველ შესწავლას, რაც მნიშვნელოვანია შესაბამისი შემარბილებელი ღონიძირების განსაზღვრისა და შემუშავებისთვის. აღნიშნული კვლევების შედეგები საფუძველად დაედო ბიოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გარემოს ფონური მდგომარეობის შეფასებისას გამოვლენილი და გაანალიზებული იქნა შემდეგი სახის ზემოქმედება:

- აღიწერა და შესაძლებლობის ფარგლებში რაოდენობრივად შეფასდა ზემოქმედება ჰაერის ხარისხზე, ფონურ ხმაურზე, ფონურ რადიაციაზე, გეოლოგიურ პირობებზე და ნიადაგის საფარზე,



ფაუნასა და ფლორაზე, ჰიდროლოგიაზე, წყლის რესურსების გამოყენებაზე, მიწათსარგებლობაზე, მოსახლეობაზე და მათ საკუთრებაზე და სხვა.

- აღიწერა ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე;
- აღიწერა ზემოქმედება ლანდშაფტებზე და ხედებზე;
- აღიწერა ზემოქმედება დემოგრაფიაზე, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე;
- აღიწერა ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

4.2. ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო

4.2.1. კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

თბილისსა და მის მიდამოებში ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის საშუალო ტემპერატურა განაშენიანებულ ტერიტორიაზე 0.3°C-დან 0.9°C -მდეა, შემოგარენში კი, ტერიტორიის სიმაღლის გამო ამ თვის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ეცემა და უარყოფითი ხდება. ზაფხულში ქალაქის უმეტეს ტერიტორიაზე ტემპერატურა 24°C -ს აღემატება. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ყველაზე ცხელი თვე ივლისი, შემოგარენში უფრო ცხელი თვეა აგვისტო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თბილისსა და მის ნმიდამოებში 12.3° C -მდეა. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია (დიდომი - 12.1°C, თბილისის ობსერვატორია - 12.3°C), ხოლო შემოგარენში, რელიეფის მთაგორიანობის გამო თანდათან კლებულობს და კოჯორში ის 7.4° C -ის ფარგლებშია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია კლიმატური მახასიათებლების 2014 წლის 15 იანვარს საქართველოს მთავრობის N71 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს ტერიტორიაზე საშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“-ის თანახმად.

ქვემოთ, შესაბამის ცხრილებში და საილუსტრაციო დიაგრამაზე მოცემულია ძირითადი კლიმატური და რეჟიმულ-მეტეოროლოგიური პარამეტრები და ფაქტობრივი მნიშვნელობები, რომელიც შეესატყვისება საწარმოო ობიექტის განლაგების უბანს (კლიმატური ცნობარების თანახმად).

ცხრილი 4.2.1.1. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	0,4	1,9	5,7	11,2	16,6	20,5	24,0	24,1	19,4	13,7	7,3	2,5	12,3

ცხრილი 4.2.1.2. ატმოსფერული ჰაერის დღე-ღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.



დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	-2,8	- 1,6	1,4	6,5	11,6	15,2	18,7	18,6	14,7	9,3	3,8	-0,8	7,9

ცხრილი 4.2.1.3. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	-23	-14	-14	-4	0	7	9	9	1	-5	-7	-20	-23

ცხრილი 4.2.1.4. ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	5	6,5	10,9	16,8	22,2	26,4	30,2	30,3	25,0	19,0	11,6	7,1	17,6

ცხრილი 4.2.1.5. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	18	21	28	31	33	37	40	40	37	33	26	21	40

ცხრილი 4.2.1.6. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის თვისა და წლის საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	73	70	68	65	65	61	58	56	63	70	76	75	67




ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორებადობა მოცემულია ცხრილში 4.2.1.7 და ნახაზი 4.2.1.1-ზე.

ცხრილი 4.2.1.7.

თვე	ჩ	ჩ-აღმ	აღმ.	ს-აღმ.	სამხრ.	ს-დას.	დას.	ჩრდ.	შტილი
I	1	3	3	5	2	1	5	80	45
II	1	4	5	7	4	2	3	74	37
III	1	3	5	16	6	2	3	64	36
IV	1	4	6	19	7	2	2	59	34
V	1	4	8	14	7	2	3	61	32
VI	1	5	7	13	6	2	3	63	26
VII	1	4	8	13	7	2	3	62	23
VIII	1	5	9	13	10	2	3	57	29
IX	1	5	8	15	7	2	2	60	36
X	1	5	6	10	7	1	3	67	42
XI	1	4	5	10	6	2	5	67	52
XII	2	3	2	5	3	1	5	79	49
წლიური	1	4	6	12	6	2	3	66	37

ცხრილი 4.2.1.8. ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	5,4	6,8	6,4	6,4	5,9	6,3	7,2	5,8	5,6	5,1	4,1	4,4	5,8



ნახაზი 4.2.1.1. ქარის მიმართულების განმეორებადობის (პროცენტებში) ნალებები



რეგიონის საშუალო წლიური ნალექების ჯამი 400მმ-დან 460მმ-მდე მერყეობს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაისშია(76მმ). ყველაზე მშრალი თვე იანვარია, როცა ნალექების რაოდენობა 14მმ-მდე მერყეობს. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია შედარებით უზენაღეჭიანობა წლის თბილი პერიოდში(აპრილი-ოქტომბერი 279მმ) და მცირენალექიანობა წლის ცივ პერიოდში(ნოემბერი-მარტი 103მმ)

ცხრილი 4.2.1.9. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე.

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	14	20	27	46	76	64	43	33	37	37	31	20	448

ცხრილი 4.2.1.10. მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს.

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, 0C	24,1
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 0C	0,4° C
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	1
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
- აღმოსავლეთი	6
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
- სამხრეთი	6
- სამხრეთ-დასავლეთი	2
- დასავლეთი	3
- ჩრდილო-დასავლეთი	66
-შტელი	37
ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს.	20,2მ/წმ

4.2.2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

4.2.2.1. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით ფონური დაბინძურების მდგომარეობა



ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და შესაბამისად ამ მავნე ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების დადგენისას არსებული მიდგომებიდან შედარებითი უპირატესობა ენიჭება ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მიერ ატმოსფეროს დაბინძურებაზე დაკვირვების საგუშაგოების რეგულარული დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე დადგენილ ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობებს.

ქალაქ თბილისში, საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგური განთავსებულია ვარკეთილი 3, I მკრ-ნში, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც 24 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ისაზღვრება შემდეგი რვა ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციები: მტვრის მყარი ნაწილაკები (PM10, PM2.5), ნახშირჟანგი (CO), ოზონი (O3), გოგირდის დიოქსიდი (SO2), აზოტის დიოქსიდი (NO2), აზოტის ოქსიდი (NO) და NOx. ამ მონაცემების უწყვეტ რეჟიმში მიღება ხდება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში და სააგენტოს მიერ გამოიცემა შესაბამისი საინფორმაციო ბიულეტენები. ქვემოთ, ცხრილში 6.2.2.1.1 მოცემულია მონაცემები ქალაქ თბილისის ავტომატური სადგურის მიერ 2017 წლის 30 მარტს დაფიქსირებული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ (საინფორმაციო ბიულეტენი N89 31/მარტი/2017).

ცხრილში 4.2.2.1.1. მონაცემები 2017 წლის 30 მარტს დაფიქსირებული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ (საინფორმაციო ბიულეტენი N89 31/მარტი/2017).

დაკვირვების პუნქტები	NOx (მგ/მ ³)	NO ₂ (მგ/მ ³)	NO (მგ/მ ³)	SO ₂ (მგ/მ ³)	PM ₁₀ (მგ/მ ³)	PM _{2.5} (მგ/მ ³)	O ₃ (მგ/მ ³)	CO (მგ/მ ³)
ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია	0,064	0,033	0,032	0,006	0,038	0,021	0,063	0,7
ზღვრულად დასაშვები საშუალო სადღეღამისო კონცენტრაცია (საქართველოს ნორმატივი	-	0,04	0,06	0,05	-	-	0,03	3
საშუალო სადღეღამისო კონცენტრაცია (ევროკავშირის ნორმატივი)	-	-	-	0,125	0,05	-	-	-

წყარო: <http://nea.gov.ge/ge/service/haeris-monitoringi/14/haeris-dabindzurebis-yoveldgiuri-biuletini/>

საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა არაორგანული მტვერი (SiO₂= 70-20%). საწვავის წვის სხვადასხვა დანადგარებიდან გამოიყოფა საწვავის წვის პროდუქტები: აზოტის დიოქსიდი (NO₂), ნახშირბადის ოქსიდი (CO) და ნახშირორჟანგი (CO₂). ბითუმსაცავიდან და ბითუმის გადამამუშავებელი დანადგარებიდან ძირითადად გამოიყოფა ნახშირწყალბადები (ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁₂-C₁₉).

საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფილი ყველა ნივთიერებების მიხედვით საკვლევი ტერიტორიის ფონური დაბინძურების შესახებ მონაცემების



რეპრეზენტატიულობის მიზნით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ფონური შემცველობის განსაზღვრის მიზნით ასევე გამოყენებული იქნა “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდის შესახებ” დებულებით განსაზღვრული ფონური კონცენტრაციის საორიენტაციო მნიშვნელობები, რომლებიც დამოკიდებულია დასახლებული პუნქტის მოსახლეობის რიცხოვნობაზე. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში 6.2.2.1.2.

ცხრილი 4.2.2.1.2. ფონური კონცენტრაციების საორიენტაციო მნიშვნელობები

მოსახლეობის რაოდენობა, ათ. კაცი	ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა, მგ/მ ³			
	აზოტის დიოქსიდი	გოგირდის დიოქსიდი	ნახშირჟანგი	მტვერი
250-125	0,03	0,05	1,5	0,2
125-50	0,015	0,05	0,8	0,15
50-10	0,008	0,02	0,4	0,1
<10	0	0	0	0

ქ. თბილისის ვარკეთილის დასახლების მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ფონურ მაჩვენებლებად შესაძლებელია აღებული იქნას 10-50 ათას მოსახლეობიანი დასახლებებისთვის რეკომენდირებული სიდიდეები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ფონური შემცველობის განსაზღვრის დროს ასევე გათვალისწინებული იქნა საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში ემისიის მქონე რაიმე ობიექტის არსებობის გამოვლენისათვის ჩატარებული საველე კვლევის შედეგები და ამ ობიექტების ოპერირების შედეგად გარემოზე შესაძლო ზეგავლენის წყაროები და სახეები, ასევე მათი ზემოქმედების მასშტაბები და გავრცელების არეალი.

ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით განხორციელდა საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს არსებული ფონური მდგომარეობის შეფასება "ყველაზე უარესი"-ს პრინციპის მიხედვით და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციის საორიენტაციო მნიშვნელობები შემდგომში გამოყენებული იქნა საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიშის დროს.

4.2.2.2. ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობა

საქართველოში ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის მავნე ფიზიკური ზემოქმედების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონებით [1-4] და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტებით [22].



უახლოესი პერიოდის მონაცემების მიხედვით არცერთი კომპეტენტური (პრაქტიკული თუ სამეცნიერო პროფილის) ორგანიზაციის მიერ არ განხორციელებულა დაკვირვებები, რომელიც რეპრეზენტატიული იქნებოდა საკვლევ ტერიტორიაზე ხმაურის ფონის დადგენისათვის.

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის ხმაურის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ქუჩებსა და გზებზე სატრანსპორტო ნაკადები, სარკინიგზო მატარებლები, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებები და სხვა.

საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე, დასახლებულ პუნქტებში, ხმაურის ფონური დონეების დადგენის მიზნით ჩატარდა ინსტრუმენტალური გაზომვები ხმაურისა და ვიბრაციის საზომი ხელსაწყოთა საშუალებით.

გაზომვები ჩატარდა არსებული პოტენციური ხმაურის წყაროებისათვის ხმაურის მახასიათებლების განსაზღვრისადმი ქვეყნაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და გაზომილი იქნა ბგერის წნევის დონეები ოქტავურ ზოლებში, ბგერის ექვივალენტური დონეები და ბგერის მაქსიმალური დონეები.

ნორმატიული დოკუმენტით - სანიტარიული წესებისა და ნორმების “ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე”, სნ 2.2.4/2.1.8.000-00“-ს მიხედვით საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონის ნორმად ღამის საათებისათვის (23 სთ-დან 7 სთ-მდე) მიღებულია 45 დბა, ხოლო დღის საათებისათვის (7 სთ-დან 23 სთ-მდე) 55 დბა (იხ.ცხრილი 3.2.2.2.1).

ცხრილი 4.2.2.2.1.

ბგერითი წნევის დასაზღვრები დონეები, ბგერის დონეები და შემდგომი ხმაურის ბგერის ექვივალენტური და მაქსიმალური დონეები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და ხმაურის დასაზღვრები დონეები საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე													
№	სათავსების ან ტერიტორიების დანიშნულება	დღე-ღამის დრო	ბგერითი წნევის დონეები, დბ ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით.									ბგერის დონე LA და ბგერის ექვივალენტური დონეები LA ემგ. დბA	ბგერის მაქსიმალური დონეები LA მაქ. დბA
			31.5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000		
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესამდვრება: საცხოვრებელ სახლებს, პოლიკლინიკების შენობებს, დასასვენებელ სახლებს, ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს.	7 სთ-დან 23 სთ-მდე	90	75	66	59	54	50	47	45	44	55	70
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	83	67	57	47	44	40	37	35	33	45	60



გამოკვლევის შედეგად დადგინდა რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბგერის წნევის დონეები ოქტავურ ზოლებში, ბგერის ექვივალენტური დონეები და ბგერის მაქსიმალური დონეები საშუალოდ არ აღემატება საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიისათვის დადგენილ ხმაურის დასაშვებ დონეებს.

4.2.2.3. ბუნებრივი რადიაციული ფონი

საქართველოში ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის მავნე ფიზიკური ზემოქმედების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონებით [1-4] და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტებით [27].

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული საწარმოს ტერიტორიაზე ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა მანქანათმშენებელი საწარმო. გამომდინარე აღნიშნულიდან საჭიროდ ჩაითვალა საწარმოს ტერიტორიაზე რადიაციული გამა ფონის ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარება.

საკვლევ ტერიტორიებზე 2015 წლის აპრილის თვეში ჩატარდა რადიაციული ფონის მონიტორინგი. რადიაციული მონიტორინგი მიზნად ისახავდა ტერიტორიების გამა-ფონის შესწავლას და შესაძლო უკონტროლო რადიოაქტიური წყაროების მოძიებას. აღსანიშნავია, რომ რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი რადიაციული ფონი შეადგენს 8-12 მკრ/სთ (მიკრორენტგენი/საათში) და უკანასკნელ წლებში გამოირჩევა სტაბილურობით.

რადიაციული მონიტორინგის დროს გამოყენებულ იქნა სცინტილაციური დოზიმეტრი CPII-68-01, №2912 გამოშვებული 1986 წელს, მწარმოებელი “რუსეთი”, რომელიც განკუთვნილია ტერიტორიის რადიომეტრიული გამა-ფონის დადგენის, რადიოაქტიური საბადოების მოძიებისთვის და სხვა. აპარატი საშუალებას იძლევა გამა-გამოსხივების ნაკადის გაზომვისა 0-დან – 10000 S⁻¹ და ექსპოზიციური დოზის სიმძლავრისა 0-დან – 3000 მკრ/სთ. ფოტოელექტროგამამრავლებლის პლატოს მახასიათებელი კონტროლირდება C₆₀ რადიოაქტიური წყაროს მეშვეობით. გამა-გამოსხივების ენერჯის ზღვარი ფიქსირდება 15-35 keV – ფარგლებში. აპარატის ცდომილება შეადგენს 25-30%;

გამა-ფონის მონიტორინგი წარმოებდა პროფილებით, რომელთა შორის მანძილი შეადგენდა 1,5-2.0მ. და გამა-ფონის გაზომვები ფიქსირდებოდა ხუთ წერტილში “კონვერტის” მეთოდით და დიაგნოზების გადაკვეთაზე.

გაზომვის დროს პერიოდულობით მოწმდებოდა SRP 68-01 აპარატის მგრძობიარობა საკონტროლო წყაროს მეშვეობით და საათში ერთხელ მოწმდებოდა ხელსაწყოს კვების რეჟიმი. რადიაციული მონიტორინგის დროს ზემოაღნიშნული მეთოდით დეტალურად შემოწმდა ტერიტორიების ღია ნაწილები, სადაც გამა-ფონი მერყეობდა 7-11 მკრ/სთ. აღნიშნული განპირობებული იყო ნიადაგის საფარის სახეობით (ნიადაგი, ბეტონი, ხრეში).

დასკვნა:

- საკვლევ ტერიტორიებზე ჩატარებული რადიაციული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ გამა-ფონმა შეადგენს 7-11 მკრ/სთ, რაც დამახასიათებელია რეგიონისათვის.
- საკვლევ ტერიტორიებზე უკონტროლო რადიოაქტიური წყაროები და რადიოაქტიური დაბინძურება არ გამოვლენილა.



4.2.3. გეოლოგიური პირობები

4.2.3.1. გეომორფოლოგია და გეოლოგია

გეომორფოლოგიურად საკვლევე ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ძველი ჭალისზედა ტერასის ნაწილს, მოშანდაკებული, სწორი რელიეფით.

თბილისის მიდამოებისა და მისი მომიჯნავე ადგილების გეოლოგიური აგებულება (სტრუქტურა) საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ძირითადად განპირობებულია რაიონის გეოლოგიურ-გეოგრაფიული მდებარეობით. თბილისი მდებარეობს ორ ძლიერ მათა დაანაოჭებულ სისტემას შორის. ერთის მხრივ (ჩრდილოეთიდან) კავკასიონის ინტენსიურად დისლოცირებული მათა სისტემა, ხოლო მეორეს მხრივ (სამხრეთიდან) - შედარებით ნაკლებად დაანაოჭებული თრიალეთ-აჭარის ნაოჭა ზოლი. ამ უბნის ნაწილი შედის საქართველოს ბელტის გავრცელების ფარგლებში, რომელიც სამგორ-სოღანლულის ველებსა და მცხეთის დასავლეთით მდებარე ქართლის დაბლობის ნაწილს ეხება. მცხეთასთან, კავკასიონისა და თრიალეთის მათა სისტემების ერთმანეთთან მაიხლოების (შეჯახების) შედაგად, საქართველოს ბელტი ძალზე შევიწროებულია.

თბილისის მიდამოებში გავრცელებული ქანების შრეები სხვადასხვა დროს - მეზოზოურის ბოლოს, პალეოგენის მიწურულს, მიოცენის რამდენიმე ეპოქაში, პლიოცენისა (ძირითადად აღჩაგილის წინ) და ადრეულ მეოთხეულში მომხდარი ოროგენეტიული მოძრაობების (მათაწარმოშობის პროცესების) შედეგად საკმაოდ ინტენსიურადაა დაანაოჭებული, შექმნილია განედური მიმართულების მრავალი ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭი, ჩრდილოეთით მცხეთა-გომბორი-მანავის ზოლში შემოსაზღვრული დიდი შეცოცებით, რომლის გასწვრივაც ქართლი-ცივგომბორის ქედებზე გავრცელებულია პალეოგენისა და უფრო ძველი ქანები, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული მოძრაობის შედეგად, განლაგებულია საქართველოს ბელტის გვიან ოლიგოცენისა და მიოცენის შრეებზე, თბილისის მიდამოების სამხრეთით, აგრეთვე თბილისის მიდამოებშიცაა შენიშნული უფრო პატარა ამპლიტუდის გარღვევის ზოლები. აქ რამდენიმე ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭია წარმოდგენილი. მათ შორის შედარებით მოზრდილები და ზოგჯერ რელიეფშიც შესამჩნევად კარგად გამოსახულია ანტიკლინები: მცხეთის, ლისის (იგივე დიღმის), თბილისის სეიდაბადის, ანუ თაბორის, თელეთის, კაჯარდაგისა (რუსთავ-ნაცვალწყალის) და ნორიო-მარტყოფის, სინკლინები: ორმოიან-ხევძმარის, საბურთალოს, ტაბახმელასა და კრწანისის, გავეცნოთ ჯერ ერთ ანტიკლინურ, ხოლო შემდეგ სინკლინურ ნაოჭებს.

სამგორი რაიონი გამოირჩევა მეტად დანაწევრებული რელიეფით, სერებითა და დაბალი ქედებით, სადაც გადარეცხილი ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭები გარდიგარდმო გაკვეთილია ხრამებით, რომლებიც ათეულ, ზოგჯერ ზოგჯერ ასეული მეტრის სიღრმეზე არის ჩაჭრილი ქვიშებსა და თიხებში, სადაც წარმოდგენილია ეროზიული და თავისებური კომპისებურად განწევრებული ფორმები, დადარული სერები, რომლებიც ბედლენდურ რელიეფს ქმნიან. ჩრდილო ნაწილში სამგორი-მირზაანის რაიონში კი რელიეფი სუსტადაა დანაწევრებული და ნაზი კონტურები აქვს. რელიეფის ძირითადი ფორმები წარმოდგენილია ვრცელი სინკლინური ვაკე-ტაფობებით და მოგლულებულ-მოზრტყელებული თხემებიანი ანტიკლინური სერებითა და გორაკებით. რაიონის ტერიტორია ხასიათდება ანტიკლინური ქედებისა და სერების და მათ შორის მდებარე სინკლინური ვაკე-ტაფობების შეთანაწყობით. მიუხედავად




იმისა, რომ რაიონისთვის საერთოდ ნიშანდობლივია მიო-პლიოცენური კლასტური ქანების სუბსტრატზე გამომუშვებული სტრუქტურულ დენუდაციური რელიეფი.

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები მოცემულია რუკაზე 4.2.3.1.1.



რუკა 4.2.3.1.1. საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები⁵



5 - „საქართველოს გეოლოგიური რუკა“, 2004. სმტკ პროექტი GA -651 CauSIN, საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტი.



4.2.3.2. ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალშემცველი რაიონის თბილისის ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტული წყლების წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში.

მიწისქვეშა წყლები ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე მეოთხეული ნალექების ფარგლებში. მაღალი წყალშემცველობით ხასიათდებიან აგრეთვე ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები. გარდა ზედა ეოცენის ქვიშიან-თიხოვან ფენებში მოქცეული ჰორიზონტისა, მიწისქვეშა წყლებს ძირითადად გააჩნია დაბალი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შედგენილობა. გრუნტის ფოროვანი წყლები განვითარებულია ალუვიურ ქვიშიან-კენჭნარიან ნალექებში, მდ. მტკვრის ჭალისა და დაბალი ტერასების ფარგლებში. ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები უპირატესად განვითარებულია შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექ და ზედა ცარცულ კარბონატულ ქანებში. ჰორიზონტის კვების არეალი წარმოდგენილია თრიალეთის ქედის სამხრეთ და დასავლეთ მაღლობებზე, სადაც შიშვლდება ცარცული და შუა ეოცენური წარმონაქმნები, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილის განტვირთვის არე დაკავშირებულია ანტიკლინის თალურ ნაწილთან და ტექტონიკური რღვევების ზონებთან.

წყალწნევიანი სისტემის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის სუსტი სიმპლავრის ლაგუნურ-კონტინენტურ წყებებში ვლინდება დაბალწნევიანი ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი წყლები. სისტემის მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსები 3 მ³/წმ-ს აღწევს.

4.2.3.3. საშიში გეოლოგიური მოვლენები

ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა „საქართველოს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ატლასის“ მიხედვით.

კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN), ტვენტეს უნივერსიტეტის გეოინფორმაციული სისტემების და დედამიწის კვლევის ფაკულტეტმა (ITC) ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის (MATRA) მხარდაჭერით, სამწლიანი პროექტის ფარგლებში, მოამზადა რისკის შეფასების სახელმძღვანელო ინსტრუქციები; შეიქმნა კატასტროფების რისკების მონაცემების მართვისა და ანალიზის ახალი სისტემა და მომზადდა საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ვებ და ბეჭდური ატლასები; განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საშიში ბუნებრივი პროცესების რისკის შეფასება კონკრეტულ მაგალითებზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით.


ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ვებ და ბეჭდური ტიპის ატლასი პირველია როგორც საქართველოსათვის, ასევე კავკასიის რეგიონისთვის.

ვებ. ატლასი მოცემულია მისამართზე www.drm.cenn.org.

ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ატლასის შესაბამისად (იხ. რუკები 4.2.3.3.1-4.2.3.3.2) მეწყრის, ღვარცოფისა და ქვათა ცვენის წყალდიდობების/წყალმოვარდნების საფრთხეები საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე ფასდება როგორც „დაბალი საფრთხეები“.



რუკა 4.2.3.3.1. საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუკა მეწყერის, ღვარცოფისა და ქვათა ცვენის საფრთხეების მიხედვით 6






4.2.3.4. სეისმური პირობები

სეისმური პირობების მიხედვით ტერიტორია მდებარეობს 7-8 ბალიან ზონაში (მსკ-64 სკალის შესაბამისად). ეს გარემოება გასათვალისწინებელია ნებისმიერი შენობა-ნაგებობის აშენებისა და საგზაო მშენებლობის პირობებისათვის (იხილეთ საქართველოს სამშენებლო ნორმები და წესები, დაპროექტების ნორმების პროექტი “მშენებლობა სეისმურ რაიონებში”, დანართი №1 “საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების რუკა” და დანართი №2-ის ცხრილი დასახლებების და შესაბამისი მაქსიმალური სეისმური ინტენსივობის ჩვენებით).

სეისმოლოგიური მონაცემებით დასტურდება აღნიშნული ზონის თანამედროვე ტექტონიკური აქტიურობა, რომელიც დიფერენცირებულად არის გამოხატული და დამოკიდებულია საქართველოს ბელტის ამგები ცალკეული ბლოკის აქტიურობის ინტენსივობაზე.

“საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკა” ასევე წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის ნახაზზე 3.2.3.4.1.

ნახაზი 4.2.3.4.1. საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკა⁷



7 - საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01. 01-09) დანართი №1 “საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების რუკა” და დანართი №2-ის ცხრილი დასახლებების და შესაბამისი მაქსიმალური სეისმური ინტენსივობის ჩვენებით.



4.2.3.5. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

ასფალტის საწარმოს მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით ჩატარებული იყო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

აღნიშნული მიზნით საკვლევ ნაკვეთზე გაყვანილი იქნა 3 შურფი კვეთით 1.25მ², სიღრმით 3.00 მდე. სულ გაყვანილი იქნა 9.0 გრძ.მ. გაყვანილი გამონამუშევრებიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის თიხობანი გრუნტის 3 ნიმუში, რომელთაც ჩაუტარდათ კვლევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-სამირკვლების მიმართულების გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში, რომლის მონაცემებიც მოცემულია "საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა"-ში.

კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად – ს.ნ და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობების ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომდეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და სამირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

შურფების ლითოლოგიური სვეტები და ასამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტის ჭრილები, ნაკვეთის 1:500 მასშტაბიან ტოპოგეგმასთან ერთად ერთვის "საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა"-ს.

ამდენად, მოცემული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების შესაბამისად, საკვლევ ტერიტორია ხასიათდება შემდეგი ბუნებრივი და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით:

- საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სნდაწ 1.02.07-87-ის მე-10 ცხრილის თანახმად გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას;
- გამოკვლეული უბანი წარმოადგენს მდინრე მტკვრის ნარწყულზედა ტერასას, რომელიც აგებულია თანამედროვე მეოთხეული ასაკის ნალექებით, რომელიც წარმოდგენილია კენჭნარებით, ქვიშნარებით, თიხნარებით და თიხებით;
- გრუნტის წყლის დონე გაყვანილი შურფებით არ გადაკვეთილა და გაყვანილი სიღრმის ფარგლებში (საკვლევ ნაკვეთზე გაყვანილი იქნა 3 შურფი კვეთით 1.25მ², სიღრმით 3. 0 მდე) მოსალოდნელი არ არის;
- სამშენებლო მოედანი წარმოდგენილია ორი ფენით:
 - ფენა 1 - ნაყარი;
 - ფენა 2 - თიხნარი.

თიხნარი (ფენა 2) გამოყოფილი იქნა როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - სგე-1;

- დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნება უნდა განხორციელდეს თიხნარებზე (სგე-1), რომლის საანგარიშო წინაღობა თანახმად სნ და წ 2.02.01-83 -ის მესამე დანართის ცხრილი №3-ისა ტოლია $R_0 = 2.10$ კგ/სმ²;
- საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევ უბანი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში;
- დამუშავების სიძნელის მიხედვით სამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტები თანახმად კლასიფიკაციისა სნდაწ IV-5-82-ის ცხრილის მიხედვით მიეკუთვნებიან შემდეგ ჯგუფებს:
 - ა) ნაყარი გრუნტი - 24^ბ.
 - ბ) თიხნარი - 33^ბ.
- ფიზიკურ-გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტები მდგრადია, უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის და იგი ვარგისია მიშენება-დაშენებისათვის.



4.2.4. ჰიდროლოგია

- მოხდეს იმ ტექნოლოგიური ხაზების ავარიების ლიკვიდაცია და აღმოფხვრა, რომლებიც ემუქრება ადამიანების სიცოცხლეს;
- მოხდეს ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების გატანა საშიში ზონებიდან;
- მოხდეს ავარიულ და საშიშ მდგომარეობაში მყოფი შენობების და კონსტრუქციების იძულებითი წესით ჩამონგრევა ან გამაგრება;
- სამაშველო სამუშაოების შესრულებისას დაუშვებელია, საჭიროების გარეშე, ნანგრევების ზემოთ სიარული, დანგრეულ შენობა-ნაგებობებში შესვლა, მათ ახლოს ყოფნა, თუ არსებობს მათი შემდგომი ჩამონგრევის საშიშროება;
- ძლიერ დაკვამლულ და ჩახერგილ შენობებში შესვლისას აუცილებელია წელზე თოკის შებმა, რომლის თავისუფალი ბოლო უნდა ეჭიროს შენობის შესასვლელთან მდგომ პირს;
- სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

5.7.2. რეაგირება ღვარცოფის, წყალდიდობის, უეცარი დატბორვის შემთხვევაში

სტიქიური უბედურების სიახლოვეს მყოფმა პერსონალმა უნდა იმოქმედოს შემდეგი სტრატეგიით:

- საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ განახორციელეთ ევაკუაცია საშიში ზონიდან;
- ევაკუაციის მარშრუტი არ უნდა გადიოდეს ღვარცოფული მდინარეების კალაპოტზე;
- საშიშროების ნიშნების გაჩენისას სასწრაფოდ გადაადგილდით შემადლებული ადგილისკენ;
- დაუშვებელია ღვარცოფსაშიშ მდინარის კალაპოტში ჩასვლა ღვარცოფის პირველი ტალღის ჩავლის შემდეგ. მას შეიძლება მოჰყვეს მეორე ტალღაც;



- გადაადგილდით ისე, რომ არ გადაკვეთოთ ღვარცოფის კალაპოტი;
- საშიშია დარჩენა შენობაში, თუ იგი მდებარეობს ჩამოქცეული ნაპირის ახლოს, ან მის ქვეშ გრუნტი ნაწილობრივ წარეცხილია.

მას შემდგომ, რაც პერსონალი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, იგი ვალდებულია იმოქმედოს შემდეგი სტრატეგიით:

- საჭიროების შემთხვევაში ეთხოვოს პერსონალს ყველა დანადგარების გათიშვა შესაბამისი თანმიმდევრობით.

სამაშველო რაზმის გამოჩენამდე სტიქიური მოვლენის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს ხელმძღვანელობს მენეჯერი შემდეგი სტრატეგიით:

- მოხდეს პერსონალის გამოყვანა საშიში ზონებიდან;
- მოხდეს ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების გატანა საშიში ზონებიდან;
- დროის მოკლე მონაკვეთში მოხდეს დაზიანებული გზებისა და ხიდების დროებითი აღდგენა ბულდოზერების და ექსკავატორების გამოყენებით;
- მოხდეს შენობების დათვალიერება და მათი ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება;
- მოხდეს ავარიულ და საშიშ მდგომარეობაში მყოფი შენობების და კონსტრუქციების იძულებითი წესით ჩამონგრევა ან გამაგრება;
- სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

6. ავარიაზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა

ავარიების განვითარების თვალსაზრისით მაღალი რისკების მქონე უბნებზე უნდა არსებობდეს ავარიაზე რეაგირების სტანდარტული აღჭურვილობა, კერძოდ:

პირადი დაცვის საშუალებები:

- ჩაფხუტები;
- დამცავი სათვალეები;
- სპეცტანსაცმელი ამრეკლი ზოლებით;
- წყალგაუმტარი მაღალყელიანი ფეხსაცმელები;
- ხელთათმანები;

ხანძარსაქრობი აღჭურვილობა:

- სტანდარტული ხანძარმქრობები – ყველა მუდმივ უბანზე, ყველა მანქანასა თუ დანადგარზე;
- სათლები, ქვიშა, ნიჩბები და ა.შ.;
- სათანადოდ აღჭურვილი ხანძარსაქრობი დაფები – ყველა მუდმივ უბანზე;
- სახანძრო მანქანა – გამოყენებული იქნება უახლოესი სახანძრო რაზმის მანქანა.

გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობა:

- სტანდარტული სამედიცინო ყუთები;
- სასწრაფო დახმარების მანქანა – გამოყენებული იქნება უახლოესი სამედიცინო დაწესებულების სასწრაფო დახმარების მანქანა.



დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობა:

- გამძლე პოლიეთილენის ტომრები;
- აბსორბენტის ბალიშები;
- ხელთათმანები;
- სათლები;
- პოლიეთილენის ლენტა.

7. საჭირო კვალიფიკაცია და პერსონალის სწავლება

პერიოდულად უნდა შესრულდეს ავარიაზე რეაგირების თითოეული სისტემის გამოცდა, დაფიქსირდეს მიღებული გამოცდილება და გამოსწორდეს სუსტი რგოლები (იგივე უნდა შესრულდეს ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაშიც).

საწარმოს მთელ შტატს უნდა ჩაუტარდეს გაცნობითი ტრენინგი. ჩატარებულ სწავლებებზე უნდა არსებობდეს პერსონალის გადამზადების რეგისტრაციის სისტემა, რომლის დოკუმენტაციაც უნდა ინახებოდეს კომპანიის ან კონტრაქტორების ოფისებში.

8. ავარიის შესახებ შეტყობინება

ავარიულ სიტუაციაზე რეაგირებისა და მოქმედების გეგმაში მნიშვნელოვანია:

ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელის შექმნა:

- სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეტყობინება (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო);
- მოსახლეობისათვის შეტყობინება;
- მომიჯნავე ობიექტის სამსახურების შეტყობინებას.

საკონტაქტო ინფორმაციის ფორმების დამუშავება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს;

- ავარიის შედეგად შექმნილი სიტუაციის შეფასება და რეაგირების ღონისძიებათა დაწყება;
- რეაგირების კატეგორიის განსაზღვრა;
- ავარიული შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციის სამსახურის მობილიზება და მზადყოფნაში მოყვანა;
- ავარიული შემთხვევის (გარემოს შესაძლებელი დაზიანებების) ადგილმდებარეობის სიტუაციური სქემა;
- გარემოს შესაძლებელი დაზიანებების რაოდენობრივი შეფასება და შესაძლებელი გავრცელების განსაზღვრა;
- ავარიულ შემთხვევასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების შეფასება;
- რეაგირების სტრატეგიის შემუშავება;
- არსებული რესურსების შეფასება და მობილიზება;
- მიმდინარე რეაგირების სამუშაოთა ხელმძღვანელობა;
- სალიკვიდაციო სამუშაოთა დამთავრების პირობების განსაზღვრა;
- სალიკვიდაციო სამსახურის მოქმედების შეწყვეტა;
- მობილიზებული რესურსების მდგომარეობის შემოწმება;



- სამთავრობო და დაინტერესებული ორგანოების და პირების შეტყობინება სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შესახებ.

ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება:

- ავარიული შემთხვევის თარიღი, დრო და კლასი (გარემოს შესაძლებელი/აღმოჩენილი დაზიანებების მიხედვით);
- გამომვლენის/ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა;
- გარემოს დაზიანებების (მაგალითად, დაღვრილი ზეთის) მდგომარეობა, მისი გავრცელება და დაზიანებული ტერიტორიის ზომები;
- მეტეოპირობები (ქარის სიჩქარე და მიმართულება, და სხვა);
- დაზიანებების დახასიათება ტიპის მიხედვით;
- დაზიანებების წყარო;
- სხვა დამკვირვებლების მონაცემები.



დანართი 13.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი საწარმოს განთავსების უფლებრივი ზონის შესახებ



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 16-01222372097
თარიღი: 25/08/2022

ადრესატი: შპს ჯეუ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205251537
მისამართი: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი N2, შენობა N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 18.08.2022 წლის №10/01222301018-16 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით ინფორმაციას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.18.007.016) ასფალტის საწარმოს განთავსების შესაძლებლობის თაობაზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.18.007.016) ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

სამრეწველო ზონა 1 (ს-1) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება ;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	-	კოეფიციენტი	
კ-2	-	კოეფიციენტი	
კ-3	0,1	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დადგენა, დასაშვები ფუნქციური სახეობის განთავსების მიზნით, წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მსჯელობის საგანს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა მიმართოთ არქიტექტურის სამსახურს და ელექტრონული განცხადება ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე, <http://tas.ge/>-ზე, შესაბამის ნომენკლატურაში.

ამასთან, დამატებითი ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის მეხუთე პუნქტის



თანახმად, თუ მშენებლობის ნებართვის მიღება დაკავშირებულია ისეთ მშენებლობასთან, რომლით გათვალისწინებული საქმიანობაც ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებას, მშენებლობის ნებართვის მაძიებელი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გარემოს ეროვნულ სააგენტოს. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ მუხლით განსაზღვრული სანებართვო დოკუმენტაციის გარდა, აღნიშნული გადაწყვეტილებაც უნდა წარუდგინოს. აქედან გამომდინარე, საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დადგენის სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

ოთარ ჩიტძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





დანართი 13.7. შპს „ტავ ურბან საქართველოს“ წერილი



Georgia

თარიღი : 23 / 03 / 2022

ნომერი : TAV.GM.7691

შპს „ჯეუ გრუპის“
დირექტორს
ქალბატონ ნინო კიკაბიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2022 წლის 23 თებერვლის № 23.02.22/2 და 09 მარტის № 09.03.22/2 განცხადებების, მათზე თანდართული და დამატებით წარმოდგენილი მასალის დეტალური განხილვის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის 4, შეს. № 1-ში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.18.007.016) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღვეველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მასზე დაუშვებელია მიწის ზედაპირიდან +15 მეტრზე მაღალი ობიექტის, მათ შორის, ასფალტ შემრევი დანადგარის მოწყობა/განთავსება.

იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯეუ გრუპის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.18.007.016) განთავსებული (არსებული) ასფალტ შემრევი დანადგარის სიმაღლე უკვე აღემატება მოცემული ზონისთვის განსაზღვრულ დასაშვებ სიმაღლის ნიშნულს (მიწის ზედაპირიდან +15 მეტრს), იგი წარმოქმნის საავიაციო დაბრკოლებას და ფრენების უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით დაუშვებელია მისი სიმაღლის შემდგომი გაზრდა, აგრეთვე, აუცილებელია მისი შესაბამისი წესით ნიშნდება.

საქართველოს საჰაერო კოდექსის (15.07.2020 №462) 42-ე მუხლის „აეროდრომის რაიონში შენობის, ნაგებობისა და სხვა ობიექტების ნიშნდება“ 1-ლი პუნქტის მიხედვით აეროდრომის რაიონში შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების, რადიო ტექნიკური საშუალებებისა და სხვა ობიექტების მფლობელები ვალდებული არიან, საკუთარი სახსრებით განათავსონ მათზე სადღეღამისო ნიშნები და მოწყობილობები.

ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-14 დანართის I ტომის პ. 6.1.1.7 „ბ“-ქვეპუნქტისა და ცხრილი 6-1-ის შესაბამისად, ზემოთ ხსენებული ობიექტის ნიშნდებისათვის შესაძლებელია თეთრი ფერის, მოელვარე, საშუალო ინტენსივობის A ტიპის შუქ შემოდობის გამოყენება. შუქ შემოდობი სანათი წუთში უნდა ასრულებდეს 20-60 გაელებას (20-60 fpm). სანათის მაქსიმალური ინტენსივობა დღის საათებში ან/და შებინდებისას უნდა შეადგენდეს 20 000 კანდელს, ხოლო ღამის საათებში 2 000 კანდელს.

პატივისცემით,

თვა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერი

ონურ შათორი
გენერალური მენეჯერის მოადგილე



დანართი: 2 ფურცელი.

ZG



დანართი 13.8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის შეთანხმების შესახებ



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **16-01223562820**
თარიღი: **22/12/2022**

ადრესატი: შპს ვეუ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205251537
მისამართი: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი N2, შენობა N1

ქალბატონო ნინო,

თქვენი, მ/წლის 21 დეკემბრის N21.12.22/3 წერილის, (მერიაში რეგისტრაციის N 10/01223552044-16. 21.12.2022), პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის N459 დადგენილების: „გზაზე არაგაბარითული (მსხვილგაბარითიანი) ან ზენორმატიული (მძიმეწონიანი) სატრანსპორტო საშუალების სამოძრაოდ დაშვებისათვის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის მარშრუტის შეთახმება, მუნიციპალიტეტის მერიასთან, საჭიროა იმ შემთხვევაში თუ გადასაზიდა არაგაბარითული და ზენორმატიული ტვირთი.

თქვენი ცნობით ტვირთის გადაზიდვა წარმოებს სტანდარტული სატრანსპორტო საშუალებებით, გადასაზიდა ტვირთების გაბარიტები არ სცილდება გადაზიდა სატრანსპორტო საშუალებების გაბარიტებს, წონა კი არ აღემატება დაშვებულ ნორმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტვირთის გადაზიდვის მარშრუტის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმება საჭირო არ არის.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დანართი 13.9. საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით ქალაქის სანიაღვრე ქსელის ოპერატორთან შეთანხმების წერილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD



წერილის ნომერი: **62-01230512187**
თარიღი: **20/02/2023**

ადრესატი: გიორგი ხუნწარია
პირადი ნომერი: 01008014954
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, რაფდენ გვერტაძეს ქუჩა, N 6, ბინა 69

ბატონო გიორგი,

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ 2023 წლის 20 თებერვალს შემოსული N:19/01230511630-62 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი თქვენი განცხადება, გაირკვა რომ შპს „კეო გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.19.18.007.016) მოსაწყობი სანიაღვრე სისტემა შესაძლებელია დაერთებულ იქნეს თვალჭრელიძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე ქსელის საკონტროლო ჭაზზე (განთ. კოორდინატები GPS X-4616232; Y-491558).

პატივისცემით,

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





დანართი 13.10. ხმაურის გაზომვის შედეგები

	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	ს/ნ 405448671
	+995 511 14 35 14
	info@bestlab.ge
	www.bestlab.ge FaceBook:@bestlab.ge instagram:@bestlab.ge

ლაბორატორია ბესტლაბი

შპს ჯეუ გრუპის
მონიტორინგის ანგარიში

10 ოქტომბერი 2022 წ



	<p>შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია</p>	
	<p> თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.</p>	
	<p> ს/5 405448671</p>	
	<p> +995 511 14 55 14</p>	
	<p> info@bestlab.ge</p>	
	<p>  www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  Instagram:@bestlab.ge </p>	

სარჩევი

1.1 შესავალი.....	3
2 ინფორმაცია პროექტის შესახებ	3
2.1 ადგილმდებარეობა.....	3
3 გასაზომი პარამეტრები.....	3
3.1 გამოცდების ჩატარების ადგილები.....	4
4 უსაფრთხოება.....	4
5 გაზომვების ჩატარების დროს გამოყენებული ხელსაწყო მოწყობილობები.....	4
5.1 გაზომვების ჩატარების დროს გამოყენებული კანონმდებლობა და მეთოდოლოგია.....	5
6 ტესტირების პასუხი.....	5
7 მიღებული შედეგების განხილვა.....	6



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	ს/5 405448671
	+995 511 14 35 14
	info@bestlab.ge
	www.bestlab.ge Facebook:@bestlab.ge Instagram:@bestlab.ge

1.1 შესავალი

2 ინფორმაცია პროექტის შესახებ

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია: 2022 წლის 6-7 ოქტომბერს შპს ლაბორატორია ბესტლაბის მიერ შპს ჯეუ გრუპის სამუშაო სივრცეში ჩატარებული მიკროკლიმატის და ფიზიკური ფაქტორების გაზომვის შესახებ.

2.1 ადგილმდებარეობა

თბილისი თვალჭრელიძის ქუჩა, საკადასტრო კოდი 01.19.18.007.016

3 გასაზომი პარამეტრების ჩამონათვალი

- მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე)
- განათების ინტენსივობა
- აკუსტიკური ხმაური
- მტვრის ნაწილაკების (PM2.5-10 მიკრონი) კონცენტრაცია
- ზოგადი ვიზრაცია



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	SN ს/5 405448671
	+995 511 14 33 14
	info@bestlab.ge
	www.bestlab.ge Facebook:@bestlab.ge Instagram:@bestlab.ge

3.1 გამოცდების ჩატარების ადგილი

- ოფისი N1
- ოფისი N2
- ოფისი N3 (საწყობის მიმდებარედ)
- მექანიზაციის საწყობი
- სარემონტო-პროფილაქტიკური სივრცე
- სამრეწველო მოედანი N1
- სამრეწველო მოედანი N2
- სასწორის საოპერატორო სივრცე
- ემულსიის წარმოების საოპერატორო სივრცე
- ბუნკერების საოპერატორო სივრცე
- დაცვის ჯიხური
- წარმოების საოპერატორო სივრცე
- საკომპრესორო სივრცე
- უახლოეს მოსახლის სივრცე(თვალჭრელიძის მეორე შესახვევი)

აღნიშნულ სივრცეებში გაზომილი პარამეტრები განისაზღვრა კანონმდებლობის და სამუშაო გარემოს სპეციფიკის შესაბამისად.

4. უსაფრთხოება

სივრთხილის ნორმები მაქსიმალურად იყო დაცული: შპს ჯეუ გრუპის საოფისე და სამრეწველო მოედანზე გაზომვების ჩატარების დროს.

5. გაზომვების ჩატარების დროს გამოყენებული ხელსაწყო მოწყობილობები.

გაზომვების ჩატარების დროს გამოყენებული იყო დაკალიბრებული(გთხოვთ იხილოთ თანდართული ელექტრონული სერტიფიკატები) ხელსაწყო-მოწყობილობები რომელთა სიზუსტე და მგრძობელობა სრულიად შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- Aeroqual S-200 / PM 2.5-10 sensor
- Reed Instrument SD-9300 / SL 417
- Testo 405i
- Smart Probe AR63B



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	ს/ნ 405448671
	+995 311 14 35 14
	info@bestlab.ge
	www.bestlab.ge Facebook: @bestlab.ge Instagram: @bestlab.ge

5.1 გაზომვების ჩატარების დროს გამოყენებული კანონმდებლობა

ლაბორატორიის თანამშრომლები გაზომვების ჩატარების დროს იყენებდნენ საქართველოს მთავრობის დადგენილება N: 69; 341; 398; 67 დირექტივა 2002/44/EC, IFC(საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სტანდარტი) რეკომენდაციებს.

6. ტესტირების შედეგები

გაზომვების ჩატარების დროს საწარმოში აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი რამაც განაპირობა რეალური მაჩვენებლების მიღება.

შედეგების სანახავად გთხოვთ იხილოთ *გამოცდის ოქმი*.

გაზომვები ჩაატარა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულმა სპეციალისტმა(იხილეთ მოწმობა).





	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია	
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.	
	SN ს/5 405448671	
	+995 511 14 55 14	
	Info@bestlab.ge	
	www.bestlab.ge Facebook: @bestlab.ge Instagram: @bestlab	



7. მიღებული შედეგების განხილვა

შპს ჯეუ გრუპის საწარმოო ტერიტორიაზე არსებული სამართავი კაბინები და საოფისე სივრცეები უზრუნველყოფილია კლიმატ-კონტროლის სისტემებით რომლებიც არის მუშა მდგომარეობაში და თანამშრომლებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ მათთვის კომფორტული ტემპერატურული რეჟიმი ზაფხულში გრილი ხოლო ზამთარში თბილი ჰაერის ნაკადებით.

	<p>შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია</p>
	<p>📍 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.</p>
	<p>📠 GN ს/5 405448671</p>
	<p>📞 +995 511 14 35 14</p>
	<p>✉ info@bestlab.ge</p>
	<p>🌐 www.bestlab.ge 📘 Facebook:@bestlab.ge 📷 Instagram:@bestlab.ge</p>

აქტიური სამუშაო სივრცეების ყველა ნაწილში წარმოდგენილია კომბინირებული განათება (ბუნებრივი/ხელოვნური) რომლის კონტროლი შეუძლია ნებისმიერ თანამშრომელს სურვილის მიხედვით. ჭარბი ბუნებრივი განათების შემთხვევაში შეუძლიათ ისარგებლონ მზისგან დამცავი ფარდებით ხოლო ნაკლები ბუნებრივი განათების შემთხვევაში ხელოვნური განათების გამოყენების საშუალება აქვთ.

ორ უბანზე (მექანიზაციის საწყობი, საკომპრესორო) გვხვდება მხოლოდ ხელოვნური განათება, სადაც უზრუნველყოფილია შესაბამისი სიმძლავრის ნათურებით, აღნიშნული სივრცეები წარმოადგენს მოკლევადიანი და იშვიათი გამოყენების სივრცეებს.

ხმაურის კუთხით როგორც საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე და ასევე მის გარეთ უახლოეს მოსახლესთან(თვალჭრელიძის მეორე შესახვევი) დამაკმაყოფილებელია.





	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	SN ს/ნ 405448671
	+995 311 14 35 14
	Info@bestlab.ge
	www.bestlab.ge Facebook: @bestlab.ge Instagram: @bestlab.ge

მტვრის კონცეტრაციის მონიტორინგის დროს საწარმოს ტერიტორიაზე აქტიურად გადაადგილდებოდა როგორც სამრეწველო ტექნიკა ისე სატვირთო ავტომანქანები.

უბნები რომლებიც წარმოადგენენ მტვრის წარმოქმნის მაღალის რისკის მქონე ადგილებს, უზრუნველყოფილია დაწვიმების(დანამვის) სისტემით, რაც უწყობს ხელს მტვრის წარმოქმნის პრევენციას.

ზოგად ვიბრაციას ვხვდებით წარმოების საოპერატორო სივრცეში, ვიბრაციის ინტენსივობას განაპირობებს ტექნოლოგიური პროცესი, გაზომვების ჩატარების დროს არსებული ზოგადი ვიბრაცია სრულად შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმატივს, თუმცა კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულებს ვიბრაციის საწინააღმდეგო ფეხსაცმელებით და სკამებით რომლებსაც აქვთ რეზინის დაბოლოებები რათა მოხდეს არსებული ვიბრაციის ჩახშობა.



	<p>შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია</p>	
	<p> თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.</p>	
	<p> ს/6 405448671</p>	
	<p> +995 511 14 35 14</p>	
	<p> info@bestlab.ge</p>	
	<p> www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  instagram:@bestlab.ge</p>	

გამოცდის ოქმი

N:10102022/1

ოქმის გაცემის თარიღი : 10 ოქტომბერი 2022

გაზომვების შესრულების ადგილი: თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა ს/კ: 01.19.18.007.016

გაზომვების დაწყების და დასრულების დრო: 13:00-15:00 06/10/2022. 08:30-10:30 07/10/2022

გარემო პირობები: +27°C შზიანი, 0.1 მ/წმ, 6 ოქტომბერი, +22°C ღრუბლიანი, 0.1 მ/წმ, 7 ოქტომბერი.

დამკვეთის დასახელება: შპს ჯეუ გრუპი

გაზომილი პარამეტრების დასახელება: განათება, მიკროკლიმატი, საწარმოო ხმაური, ზოგადი და ლოკალური ვიბრაცია, მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია საწარმოო ზონის ჰაერში.

გაზომვების შემსრულებელი: ნიკო ქველიძე

ოფისი N1

N	პარამეტრის დასახელება	გაზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება	LUX	485	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	24.5	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	58.5	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.1	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	ხმაურის დონე	db	39	±0.021	45	BST-MNU-04



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	ს/ნ 405448671
	+995 511 14 35 14
	info@bestlab.ge
	www.bestlab.ge Facebook:@bestlab.ge instagram:@bestlab.ge

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზურნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით და მზისგან დამცავი ჟალუზებით.

ოფისი N2

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომპინირებული	LUX	470	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	25.3	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	52.6	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.09	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	ხმაურის დონე	db	41	±0.12	45	BST-MNU-04

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზურნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით.

ოფისი N3 (საწყობის მიმდებარედ)

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომპინირებული	LUX	1200	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	24.2	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	40.6	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.12	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	ხმაურის დონე	db	37	±0.12	45	BST-MNU-04

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზურნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით.



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	 ს/ნ 405448671
	 +995 511 14 35 14
	 info@bestlab.ge
	 www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  instagram:@bestlab.ge

მექანიზაციის საწყობი

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება	LUX	65	±1.3	100 მოკლევადიანი სამუშაოს შესრულების დროს.	BST-MNU-09

სარემონტო პროფილაქტიკური სივრცე

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	267	±1.3	500	BST-MNU-09

სამრეწველო მოედანი N1

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	ხმაური	db	62.3	±0.12	70	BST-MNU-04
2	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ ³	0.020/0.106	±0.001	ჯამურად 10მგ/მ ³	BST-MNU-02



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	 ს/6 405448671
	 +995 511 14 35 14
	 info@bestlab.ge
	 www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  instagram:@bestlab.ge

სამრეწველო მოედანი N2

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	ხმაურის დონე	db	64.1	±0.12	70	BST-MNU-04
2	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ ³	0.015/0.077	±0.001	ჯამურად 10მგ/მ ³	BST-MNU-02

სასწორის საოპერატორო სივრცე

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	900	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	25.1	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	45.7	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.13	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	ხმაურის დონე	db	56.1	±0.12	70	BST-MNU-04

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზურნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით.
- აღნიშნული სივრცე მიეკუთვნება სამრეწველო კომერციულ ზონას



	მ.3.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია	
	 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.	
	 ს/6 405448671	
	 +995 511 14 35 14	
	 info@bestlab.ge	
	 www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  instagram:@bestlab.ge	

ემულსიის წარმოების საოპერატორო სივრცე

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	555	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	23.5	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	42.2	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.12	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	ხმაურის დონე	db	51.2	±0.12	70	BST-MNU-04

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზუზუნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით.
- აღნიშნული სივრცე მიეკუთვნება სამრეწველო კომერციულ ზონას

ბუნკერების საოპერატორო სივრცე

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	1200	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	27.1	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	45.3	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა ბუნებრივი	მ/წმ	0.12	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ ³	0.015/0.068	±0.001	ჯამურად 10 მგ/მ ³	BST-MNU-02
6	ვიბრაცია ზოგადი	მ/წმ ²	0.14	±0.01	1.15	BST-MNU-03
7	ხმაურის დონე	db	59.4	±0.12	70	BST-MNU-04



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია	
	 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.	
		ს/6 405448671
		+995 511 14 35 14
		info@bestlab.ge
		www.bestlab.ge
	 Facebook:@bestlab.ge	 instagram:@bestlab.ge

დაცვის ჯიხური

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	1080	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	28.1	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	49.2	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.15	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ³	0.029/0.094	±0.001	ჯამურად 10 მგ/მ³	BST-MNU-02
6	ხმაურის დონე	db	59	±0.12	45	BST-MNU-04

წარმოების საოპერატორო

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება კომბინირებული	LUX	703	±1.3	500	BST-MNU-09
2	ტემპერატურა	°C	28.1	±0.06	23-25	BST-MNU-05
3	ტენიანობა	%RH	49.2	±0.77	40-60	BST-MNU-06
4	ჰაერის მოძრაობა	მ/წმ	0.15	±0.021	0.1	BST-MNU-07
5	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ³		±0.001	ჯამურად 10 მგ/მ³	BST-MNU-02
6	ხმაურის დონე	db	62.8	±0.12	70	BST-MNU-04
7	ვიბრაცია ზოგადი	მ/წმ²	0.95	±0.01	1.15	BST-MNU-03

- შენიშვნა: აღნიშნული სივრცე უზურნველყოფილია კლიმატკონტროლის სისტემით და მზისგან დამცავი ქალაუზებით.



	შ.პ.ს „ბესტლაბი“-ს მობილური ლაბორატორია
	 თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 48.
	 ს/ნ 405448671
	 +995 511 14 35 14
	 info@bestlab.ge
	 www.bestlab.ge  FaceBook:@bestlab.ge  Instagram:@bestlab.ge

საკომპრესორო სივრცე

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	განათება მოკლევადიანი სამუშაოს შესრულების დროს	LUX	815	±1.3	100	BST-MNU-09

უახლოეს მოსახლესთან

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მიღებული შედეგი	±U	ნორმატივი	მეთოდის დასახელება
1	ხმაურის დონე	db	38.5	±0.12	40	BST-MNU-04
2	მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია	მგ/მ ³	0.017/0.091	±0.001	ჯამურად 10 მგ/მ ³	BST-MNU-02

გელა ბარჯაძე
ლაბორატორიის დირექტორი





დანართი 13.11. ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ

#	საკითხები	შესრულება - გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით
ძირითადი საპროექტო მონაცემები		
1	<p>სკოპინგის ანგარიშში განხილული ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა „BENINGHOVEN-ის“ წარმოების „ECO-4000“ მარკის ასფალტის დანადგარს, რომლის მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობა - 98,85 %-ია. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დანადგარის საწვავად შესაძლებელია დიზელის ან ბუნებრივი აირის გამოყენება. გამოყენებული საწვავის შესახებ ინფორმაცია გზშ-ის ეტაპზე საჭიროა დაზუსტებას.</p>	<p>3.3.3. ტექნოლოგიური ალტერნატივები - გვ. 46</p>
2	<p>სკოპინგის ანგარიშში, მინერალური ფხვნილის დასაწყობების შესახებ მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების შესახებ.</p>	<p>3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30</p>
4	<p>გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს ხმაურის გავრცელების დეტალური ანგარიში-მოდელირება, შესაბამის შედეგებთან ერთად.</p>	<p>დანართი 13.10. ხმაურის გაზომვის შედეგები - გვ. 214</p>
5	<p>დოკუმენტში შეფასებულია კუმულაციური ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორები და აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ (500 მ-იან რადიუსში) საწარმოო ობიექტებიდან განთავსებულია ასფალტის საწარმო, ასევე ბეტონის საწარმოები. საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, ამასთან უნდა განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით.</p>	<p>5.13. კუმულაციური ზემოქმედება - გვ. 127</p>



გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი		
6	გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ;	დანართი 13.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი საწარმოს განთავსების უფლებრივი ზონის შესახებ - გვ. 209
7	საწარმო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს დანადგარები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნოლოგიური უბნები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;	ნახაზი 3.2.1.1. საწარმოს გენ-გეგმა - გვ. 23
8	საპროექტო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;	4. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი - გვ. 48
9	ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, დეტალურად იქნეს განხილული უმოქმედობის ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საწარმოს განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	3.3. ალტერნატივების ანალიზი - გვ. 43
10	საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, მდებარეობის მითითებით;	გვ. 49
11	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმო ობიექტის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);	3.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა - გვ. 14
12	ინფორმაცია ასფალტის საწარმოში არსებული ტექნოლოგიური დანადგარების შესახებ (სიმძლავრე-წარმადობა, საპასპორტო მონაცემები);	3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება - გვ. 24



13	ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური ციკლი, სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით;	3.2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა - გვ. 19
14	ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია ასფალტშემრევის საპროექტო წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის შესახებ;	3.2.1. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება - გვ. 19
15	საპროექტო წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის დაზუსტების საფუძველზე მოცემული უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ;	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
16	ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის დროებითი დასაწყობების შესახებ;	
17	დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით (ინერტული მასალებით, ბიტუმით და მინერალური ფხვნილით) მომარაგების შესახებ, სიხშირის მითითებით;	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
18	ინფორმაცია ნედლეულის დასაწყობების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დროებითი დასაწყობების ადგილისა და დასაწყობების პირობების შესახებ. ამასთან დეტალური ინფორმაცია ბიტუმსაცავების შესახებ (ტიპი, მოცულობა და სხვ.);	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
19	ინფორმაცია წლის განმავლობაში საჭირო მასალების რაოდენობის შესახებ;	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
20	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;	ნახაზი 3.1.1. ასფალტის ქარხნის განლაგების რეგიონის სიტუაციური რუკა - მასშტაბი 1:50 000 - გვ. 15
21	ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ;	- გვ. 32
22	დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და მზა პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ტრანსპორტირების	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30



	გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით);	
23	ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;	5.8.3. შემარბილებელი ღონისძიებები - გვ. 116
24	ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	დანართი 13.8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის შეთანხმების შესახებ - გვ. 212
25	ინფორმაცია საპროექტო აირგამწმენდი/მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, მათ შორის დეტალური ინფორმაცია სახელოანი ფილტრების პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ (საპასპორტო მონაცემების მითითებით);	3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება - გვ. 24
26	ინფორმაცია აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოანი ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ;	3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება - გვ. 24
27	ინფორმაცია მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის, მათ შორის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ;	3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტშემრევი დანადგარის დახასიათება - გვ. 24
28	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (აღნიშნული მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების დასადგენად);	4.2.1. კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები - გვ. 50
29	ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის შესახებ (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით);	4.2.5. შემარბილებელი ღონისძიებები - გვ. 93
30	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;	5.2.1. შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ეტაპი - გვ. 130



31	საწარმოს ფუნქციონირების დროს შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების შესახებ ინფორმაცია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;	დანართი 13.5. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა - გვ. 129
32	ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;	დანართი 13.4. ნარჩენების მართვის გეგმა - გვ. 180
33	ინფორმაცია ობიექტების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ;	3.2.6.1. წყალმომარაგება - გვ. 38
34	ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;	3.2.6. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა - გვ. 36
35	დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების შესაძლო დაბინძურების და პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ამასთან, სანიაღვრე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ქალაქის სანიაღვრე ქსელის ოპერატორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	3.2.6.2. სანიაღვრე წყლების არინება - გვ. 39 დანართი 13.9. საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით ქალაქის სანიაღვრე ქსელის ოპერატორთან შეთანხმების წერილი - გვ. 113
36	დაზუსტებული ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ენერჯის, საწვავის შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერჯით, დიზელითა ან/და ბუნებრივი აირით მომარაგების შესახებ;	3.2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა - გვ. 19
37	ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	3.2.5. მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი - გვ. 38 გვ. 198 ქვეთავი 7. საჭირო კვალიფიკაცია და პერსონალის სწავლება



38	ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.	4.1. გზშ-ს მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები
39	<p>პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში; • ინფორმაცია ორგანიზებული და არაორგანიზებული გაფრქვევების შესახებ; • ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; • ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების და წყაროების მითითებით; 	5.2.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან ემისიების გაანგარიშება - გვ. 77
40	გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;	წარმოდგენილია ცალკე ანგარიშის სახით
41	პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;	5.3.2. ზემოქმედების დახასიათება - გვ. 95 დანართი 13.10. ხმაურის გაზომვის შედეგები - გვ. 514
42	ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	7. 1. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი - გვ. 139
43	გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრით. ამასთან, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით	5.2.5. შემარბილებელი ღონისძიებები - გვ. 93



	სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;	
44	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	5.4. გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, ზემოქმედება ნიადაგებზე - გვ. 100
45	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	5.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე - გვ. 104 5.6. ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე - გვ. 107
46	ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;	5.8. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე - გვ. 113
47	კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია , 500 მ-იან რადიუსში და მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციებისათვის. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;	5.13. კუმულაციური ზემოქმედება - გვ. 127
48	ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით (მათ შორის, ნარჩენების მართვის გეგმა);	5.9. ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება - გვ. 118 დანართი 13.4. ნარჩენების მართვის გეგმა - გვ. 180
49	დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება;	5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე - გვ. 119



50	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;	5.10. ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე - გვ. 118
51	გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;	5.11.2.7. გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება გვ. 123
52	საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;	დანართი 13.5. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა გვ. 189
53	საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	6.2.1. შემარბილებელი ღონისძიებები - ექსპლუატაციის ეტაპი - გვ. 130
54	საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების მინიმუმაციის მიზნით, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოეს მოსახლესთან;	7. 1. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი - გვ. 130
55	გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;	11. დასკვნები და რეკომენდაციები - გვ. 145
შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში		
56	დაზუსტებას საჭიროებს ასფალტშემრევი დანადგარის საპროექტო წარმადობის, მათ შორის საწარმოს სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან ასფალტშემრევი დანადგარის მაქსიმალური წარმადობის (320 ტ/სთ) და გათვალისწინებული სამუშაო რეჟიმის (დღე; წელი) პირობებში საპროექტო წლიური წარმადობა გადააჭარბებს 200 000 ტონას. ამასთან, დასაბუთებას საჭიროებს კვირაში 5 სამუშაო დღის პირობებში წლის განმავლობაში 264 დღე მუშაობის შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს საწარმოს საპროექტო წარმადობის შესახებ ინფორმაცია, დაზუსტებული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით;	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30 3.2.5. მუშაობის რეჟიმი და მომსახურე პერსონალი გვ. 38



57	საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით;	5.13. კუმულაციური ზემოქმედება - გვ. 127
58	დოკუმენტში მინერალური ფხვნილის დასაწყობების შესახებ მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, სკოპინგის ანგარიშში (გვ. 20) აღნიშნულია, რომ მინერალური ფხვნილი განთავსდება 60 მ3 მოცულობის შემავსებლის სილოსში, თუმცა (გვ. 24) არსებული ჩანაწერის თანახმად, ფხვნილი პერიოდულად შეიტანება ტერიტორიაზე და შეინახება ჰერმეტიკულად დახურულ კამერებში. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია მინერალური ფხვნილის შემოტანის, დასაწყობებისა და ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდების შესახებ;	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
59	დაზუსტებას საჭიროებს ინერტული მასალების დასაწყობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილული იქნეს ინერტული მასალებისთვის დახურული ტიპის საწყობის მოწყობის შესაძლებლობა (არაორგანიზებული გაფრქვევის პრევენციის მიზნით);	3.2.3. ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალები და წარმოებული პროდუქცია - გვ. 30
60	გვ. 19 მოცემულ მტვერდამჭერი მოწყობილობის აღწერილობაში არ არის დაკონკრეტებული მოწყობილობის ყველა პარამეტრი, წარმადობის 78000 ნმ3/სთ-ს და გამოფრქვევის წყაროს განზომილებების გარდა H=12000 მმ Ø = 1050 მმ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	3.2.2. კომპანია BENNINGHOVEN-ის ECO-4000 ტიპის ასფალტმემრევი დანადგარის დახასიათება - გვ. 24
61	გვ. 21 წარმოდგენილი ბიტუმის საცავების, მათ შორის მიწისქვეშა საცავების, აღწერილობაში არ არის აღწერილი პლასტიფიცირების პროცესში გამოყოფის ინტენსივობა და მოსალოდნელი ემისიები;	5.2.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან ემისიების გაანგარიშება - გვ. 77



62	გვ. 24 და გენგეგმაზე (გვ. 15) მოცემული ინერტული მასალების ღია საწყობის აღწერილობაში მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს მისი ტექნიკური დახასიათება და მოსალოდნელი ემისიები;	5.2.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან ემისიების გაანგარიშება - გვ. 77
63	გვ. 37 ხმაურის აღწერილობა-ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დანადგარის ცალკეული აგრეგატების ხმაურის გამოყოფის მონაცემები, აღწერილი ხმაურჩამხშობი მოწყობილობის გამოყენების შემდეგ (როგორც ეს უნდა იყოს მოცემული დანადგარის ტექნიკურ დოკუმენტაციაში);	5.3.2. ზემოქმედების დახასიათება - გვ. 95
64	გვ. 10 წარმოდგენილი ტერიტორია - ორთოფოტოზე უახლოესი საცხოვრებელი შენობა განთავსებულია ობიექტიდან 0,28 კმ-ის დაცილებით. ემისიები, გაბნევის ანგარიშის შედეგებით აღნიშნულ საზღვარზე (მათი მნიშვნელობანი) არ უნდა აღემატებოდეს ზ.დ.კ.-ს;	5.2.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან ემისიების გაანგარიშება - გვ. 77
65	არსებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად სანიაღვრე წყლების გათვლებში გასათვალისწინებელია ნავთობის ნახშირწყალბადები. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული წყლების, გაწმენდის გარეშე, სანიაღვრე კანალიზაციაში ჩაშვების საკითხი;	3.2.6.2. სანიაღვრე წყლების არინება - გვ. 39
66	სკოპინგის ანგარიშში მოცემული ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე არ არის სათანადოდ შესრულებული. გზმ-ეს ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების დეტალური ანალიზი, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება პროექტის მახასიათებლებთან;	3. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი - გვ. 14
67	გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	4.2. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე - გვ. 74